ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაკთა ერთა ყველა ქვეყანისა, შეერთდით

მუშაკთა მრეწველთა

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კოუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები
საერთო—დისა 14—76. სტამბის—ფამისა—70

რედაქცია ღია ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. ა.
რესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე

სამშაბათი, 31 მაისი, 1921 წ.

№ 72 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 72

რუსეთის კომპარტიის კონფერენცია

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის და მისი ხელმძღვანელი პარტიის ახალი ეკონომიური პოლიტიკა იქცევს საყოველთავო ყურადღებას როგორც შეგობრებისას ისე მტრებისას, როგორც შიგნით ისე გარეთ. დანგრეული, დაშლილი მეურნეობის აღორძინება,—ეს ის პრობლემათა პრობლემა, რომელიც მთელი თავისი სიდიდითა ტ სიძნელით წამოიჭრა წინ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რევოლიუციონური ხალხის აღფრთოვანებამ და გმირული წითელი არმიის თაგვანწირულმა ბრძოლამ მოახერხა შემოეცალა ირგვლივ შემორტყმული სამხედრო ფრონტები და მუშურ-გლეხურმა სახელმწიფომ იხელა დაბოლოს დრო გადასულიყო ნშვიდობიან შრომაზე. სახალხო მეურნეობის აღორძინების და ამისთვის მიზანშეწონილი ზომების გამონახვის ნიშან ქვეშ ჩატარდა მეორე ყრილობა რუსეთის კომუნისტური პარტიისა და იგივე კითხვები შეადგენენ კვანძს ამავე პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციისას, რომელიც შეკრებილია დღეს მოსკოვში. უმთავრესი პუნქტები კონფერენციის დღის წესრიგისა, განაცხადა ამხ. ლენინმა, შეეხებიან საკითხს ეკონომიური პოლიტიკისა და სასურსათო გადასახადის შესახებო.

რუსეთი სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. ამ მეურნეობის ნაყოფი კვებავს არა მარტო შინაურ, არამედ რამოდენიმეთ საერთაშორისო ბაზარსაც. დღეს, როდესაც, როგორც მრეწველობის, ისე ამ მეურნეობის აღორძინების საქმე გარეშე ქვეყნების დაუხმარებლათ მოუკვარებელია, ცხადია, რომ ზომების გამონახვა, რომელიც საშვალებას მისცემენ სახელმწიფოს ფართო აღებმიცემობის გზას დაადგეს კაპიტალისტურ ქვეყნებთან, რომ იქიდან მიიზიდოს, როგორც პირველ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ფაბრიკატები, აგრედვე სხვადასხვა საწარმოო საშვალებანი ამ დაცემული მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის აღსადგენათ—ასეთი ზომების გამონახვა შეადგენს უმთავრეს საზრუნავ საგანს მთავრობისას. წინეთ, სამოქალაქო ომის ხანაში, რომელიც დღეს დროებით გათავებულია, მთავრობამ ხელი დაადვა სასოფლო მეურნეობის ამ ხედმეტს, რომელიც გადარჩებოდა ცხოვრებისათვის საჭირო მინიმუმს. ამაზე იყო აშენებული ეგრედ წოდებული სასურსათო გაწერა, რომელმაც რამოდენიმეთ თუმცა შიაღწია მიზანს, მარა დაბადა იმავე დროს უკმაყოფილება სოფლის მეურნეებში ამ ზომამდე, რომ მისი შენარჩუნება იმუქრებოდა ისედაც შესუსტებული მეურნეობის კიდევ უფრო შესუსტებით. დასამუშავებელი მიწების ფარგლის შემცირებით, ეს გარემოება კითხვის ნიშან ქვეშ აყენებდა სოფლის მეურნეობის თვით ცოტათი თუ ბევრათ ნორმალურათ მიმდინარეობის საქმესაც. სოფლელი გლეხი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო იმაში, რომ მისი ნამუშევარის რაოდენობა მას დარჩებოდა თავის ბელებში ან თუ დაძრავდა იქიდან მხოლოთ იმ შემთხვევაში, რომ ამით საშვალება მისცემოდა სამაგიერო რამ შემოეტანა სახლში. უამისოთ მას განძრევაც არ სურდა და თუ შექმნიდა რამეს. მხოლოთ იმდენს, რაც მისთვის აუცილებელი იქნებოდა, რომ მშიერი არ დარჩენილიყო. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ძნელი იქნებოდა არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფონდის შექმნა საზღვარ-გარეთ გასატანათ, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სახელმწიფოსთვის, არამედ მიღება იმ მინიმუმისაც, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ქალაქის მცხოვრებლები, პირველ ყოვლისა ჯარი, მრეწველობაში ჩაბმული მუშები და სახელმწიფო მოსამსახურეები. ამ გარემოებამ და საზღვარ-გარეთთან აღებ-მიცემობის გაფართოების საჭიროებამ მიიყვანა მთავრობა, თავის დროზე საჭირო და აუცილებელი ზომა, სასურსათო გადასახადის შესახებ, შეეცვალა ახალით. დაწესებულია დროებით სასურსათო გადასახადის მინიმუმი, რომელიც სოფლის მეურნეობამ უნდა მისცეს სახელმწიფოს, ხოლო დანარჩენის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი თვით მეურნე, რომელიც მიიღებს სამაგიეროთ მისთვის საჭირო საგნებს. ამ გზით იქმნება სასურსათო ფონდი, რომელიც გროვდება მომხმარებელი კოოპერატივების და მხოლოთ მათი საშუალებით, რომ ის გადაიცვალოს სხვადასხვა საქონლებზე და ამ საქონლების სახით დაუბრუნდეს გლეხობას. რასაკვირველია, სასურსათო გადასახადი ასეთი ზომების სისტემაში დროებითია და ის გაგრძელდება მანამდის, სანამ ქალაქის მრეწველობა საკმაოდ მოღონიერდება და, როგორც ამ გზით, ისე საზღვარ-გარეთიდან მიღებული საქონელით, შესაძლებელი იქნება სოფლიდან ამოწურული საგნების მთელი ეკვივალენტი დაუბრუნდეს სოფლელ მეურნეს და ამნაირათ შეიქნეს ნორმალური დამოკიდებულება სოფელსა და ქალაქს შორის. ამაში მდგომარეობს მოკლეთ ის დათმობა, რომელის გზაზე დადგა საბჭოთა მთავრობა რუსეთში ლა რომლის შესახებ დღეს ხშირად ლაპარაკობენ. იქვს გარეშეა, როგორც ამ შემთხვევაში, ისე სხვა ზომებშიაც არის ის მინიმუმი დათმობის, რომელიც აუცილებლათ საჭირო შეიქნა, როგორც რუსეთის სოციალური ორგანიზმის შემადგენლობის გამო, ისე იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის პირობებით შექმნილი მდგომარეობითა და ისევე საბჭოთა სახელმწიფოს „კაპიტალისტური ქვეყნების რკალში“ ყოფნის ფაქტით. დღეს, როდესაც სახელმწიფო ძალა-უფლება ხელთ უპყრია, და მაგრადაც ხელთ უპყრია, პროლეტარიატს და მის პარტიას, მისი პოლიტიკა შეიძლება საერთოდ ხაზის უვნებლათ ატარებდეს ბეჭედს ასეთ დათმობისას. ამ მხრივ მდგომარეობა საბჭოთა ძალაუფლების დღეს გაცილებით უფრო მტკიცეა, ვინემ ოდესმე და ლაპარაკი კომუნისტური პარტიის რაღაც პრინციპიალური „მოხვევის“ შესახებ, რომლითაც თავს ინუგეშებენ ჩვენი მტრები, და იმედები, რომელსაც ისინი ამყარებენ საბჭოთა მთავრობის „ახალ“ პოლიტიკაზე, ერთი პატარა ოცნებაა დიდი და შავ ზრახვების პირების, წრეების და „პარტიების“. რუსეთის კომპარტიის კონფერენცია, რომელიც დღეს მუშაობს მოსკოვში, დააგვიანგვინებს მეათე ყრილობისაგან დაწყებულ საქმეს და ხელს შეუშყობს როგორც ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას, ისე საბჭოთა დიდ სახელმწიფოს კიდევ უფრო გამაგრებას, მის განმტკიცებას.

ნახშირი საქართველოში

სათბობი მასალა არის საფუძველი მრეწველობის სახელმწიფო მეურნეობის. სახელმწიფო, რომელსაც აქვს საკუთარი სათბობი მასალა—ნახშირი, ნავთი და სხვა, თავის მრეწველობის განვითარებაში თითქმის დამოუკიდებელია. სახელმწიფო, რომელსაც საკუთარი სათბობი მასალა საკმარისი არა აქვს, დამოკიდებული არის სათბობი მასალის მიმწოდებელისაგან. მისი მრეწველობა ბუღმივ განიცდის ზედგავლენას იმ სახელმწიფოსაგან, რომელიც მას აძლევს სათბობ მასალას. სათბობ მასალას აქვ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან ომიანობის დროს, ეკონომიური კრიზისის დროს სახელმწიფო საკუთარ სებებით დამოკიდებული არის მიმწოდებლისაგან. ეს დებულებანი უდავონი არიან და მათი განმარტება არ არის საჭირო. მხოლოდ უნდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო ომიანობამ ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა სათბობი მასალის სავსებით გამოარკვია. საყურადღებო არის იტალიის მდგომარეობა ომის შემდეგ. იტალიის მრეწველობას არასოდეს არ ქონდა საკმაო საკუთარი სათბობი მასალა, განსაკუთრებით ქვა ნახშირი. მაგალითად, 1913 წ. იტალიამ ამოიღო ნახშირი 200.565 ტონა, უცხოეთიდან შემოიტანა 326.231 ტონა; 1914 წ. ამოიღო 362-910 ტონა, შემოიტანა—254 893. საერთაშორისო ომიანობის გაჩაღებამ ძლიერ შეაფერხა ნახშირის მიწოდება. იტალია იძულებული შეიქმნა გაეძლიერებია წარმოება, მაგრამ მაინც ვერ შესძლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება. 1915 წ. იტალიამ დაამუშავა 454 409 ტონა ნახშირი, შემოიტანა 261.488 ტ. 1916 წ. ამოიღო 542.272 ტონა; შემოიტანა 342.406. ომიანობამ გააძლიერა იტალიის მრეწველობა, იტალიის მრეწველობის თავისუფლად განვითარება ძლიერ შეავიწროვა ნახშირის უქონლობამ. იტალია ეძებს ახალ ბაზრებს სათბობი მასალის. იტალიამ ძლიერ შეიცადა ტყვარჩელის ნახშირის კონცესიის წესით დამუშავება და ამ საჭნის შესახებ დიდ მოლაპარაკებას აწარმოებდა ყოფილ მთავრობასთან საქართველოში. იტალიამ მიიღო კიდეც ეს კონცესია. ინგლისის გაზეთებმა დიდი აურ-ზაური ასტეხეს ამ კონცესიის შესახებ. გაზეთები გულისწყრომით შეხვდნენ ამ კონცესიას, ისინი უკმაყოფილონი დარჩენ, რადგან კონცესიის აღება საშუალებას აძლევდა იტალიის მრეწველობას თავი დაეღწია ინგლისის ნახშირის დამოკიდებულებისაგან.

საქართველოს აქვს სათბობი მასალა, აქვს საფუძველი მრეწველობის. საქართველო უხრუნველყოფილია სათბობი მასალით—ქვანახშირით. საქართველოში ბევრგან მოიპოვება ქვა ნახშირი, სამრეწველო ხასიათი აქვს ტყიბულის მაღაროებს. ტყიბულის ნახშირის რაოდენობა დაახლოვებითი ანგარიშით უნდა იყოს არა ნაკლებ 5—6 მილიარდი ფუთისა (94,5 მილიონი ტონა). ტყიბულის ნახშირი არის 11—12 საჟენის სიღრმეზედ. ხარისხით ნახშირი სხვადასხვა სიღრმეზე სხვადასხვანაირია. წარსული გამოცდილებით ვიცით, რომ ტყიბულის ნახშირი სრულიად გამოსადეგი არის როგორც სათბობი მასალა, მაღაროების ზოგიერთ ნაწილებიდან ამოღებული ნახშირისაგან შეიძლება კოკსის დამზადება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეტალურგიისათვის.

ნახშირის წარმოება ტყიბულში ვერ არის მოწყობილი სათანადოთ, ტეხნიკური საშუალებანი მაღაროებში არ არის მოწყობილი. საერთოდ წარმოება ძლიერ დაქვითებული არის. ეს არის მთავარი შეცდომა იმისა, რომ საერთოდ წარმოება ძლიერ მცირეა და თვით ხარისხი ამოღებული ნახშირის არ არის ხელიანი. 1860 წ. ამოღებული იყო 150 ათასი ფუთი, 1880 წ. 320,000 ფ; 1900 წ.—3,857,114 ფ; 1912 წ.—4 132,117 ფ; 1915 წელს, ომიანობის დროს ცოტათ გაიზარდა წარმოება 4,487,121 ფუთით. 1907—1913 წ. საშუალოდ წლიურად ამოღებული იყო 3, 3 მილიონი ფუთი.

ტყიბულის ნახშირი საქართველოს საზღვრებ გარეშე არ გასულა. ნახშირის მოხმარება ხდებოდა საქართველოში. 1911—1913 წ. საშუალოდ შინაური მოხმარება უდრიდა 3,8 მილ. წლიურად. მთავარი მომხმარებელი იყო ამიერ კავკასიის რკინის გზები - 2,3 მილიონი ფუთი, დანარჩენი ნახშირი გადიოდა შინაურ ბაზარზედ. იმავე წლებში შინაური ბაზარით მოხმარება შეადგენდა 1.5 მილიონ ფუთს. ნახშირის მოთხოვნილება გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ტყიბულის მაღაროების მიწოდება. კავკასიის რკინის გზამ, მაგალითად, 1911 წ. შეისყიდა სამი წლისათვის საყოფი ნახშირი დონის და ინგლისის. მცირე გასავალი რკინის გზებზედ ტყიბულის ნახშირის განსაკუთრებით მისი ხარისხით აიხსნება. მთავარი ნაკლი ტყიბულის ნახშირის იმაშია, რომ ის 12—13 პროც. სინოტიეს შეიცავს. ამიტომ ამოღებული ნახშირი იფშვნება ჰაერზედ და ვერ უძლებს გადატანას. ტყიბულის ნახშირის გამოყენება შესაძლებელი არის. შესაძლებელია ბრიკეტების დამზადება ბრიკეტების დ მზადებელი ქარხანა ვერ იყო ხეირიანად მოწყობილი, არ ქონდა მას სათანადო ხელმძღვანელობა, მთავრობის დ ხმარება ქარხანას მოაკლდა 1901 წ. და ბრიკეტების დამზადება, ნახშირის გადაგვარება შეჩერდა. გამოცდილებით ვიცით, რომ ტყიბულის ნახშირის წარმოების გაძლიერება შესაძლებელი არის. მას შემდეგ, რაც ბაქოს ნავთის მიწოდება შესწყდა 1920 წ., საქართველოს ყოფილი მთავრობა იძულებული იყო რკინის გზებზედ, ქარხნებში შემოელო ქვანახშირის ხმარება. ქვანახშირის ამოღება ყოველ თვიურად ასკილდა ერთ მილიონ ფუთს. თვით ნაწარმოების საქმე კი სრულიად არ გაუმჯობესებულა, ძველებური ძლიერ დაქვეითებული წესები წარმოებისა დარჩა.

ტყიბულის ნახშირის წარმოებას ძველი რუსეთის მთავრობის დროს არავითარი ეკონომიური მნიშვნელობა არ ქონდა. ტყიბულის ნახშირის წარმოება თითქმის ღვთის ანაბარათ იყო დატოვებული. არავინ არ ზრუნავდა წარმოების გაუმჯობესებაზედ. ამ მდგომარეობას თავისი ღრმა და რთული მიზეზები ქონდა. რუსეთის მთავრობა განზრახ არ უწყობდა ხელს ტყიბულის ნახშირის წარმოებას. რუსეთის მთავრობა იყო დონ.ს ნახშირის წარმოებლების გავლენის ქვეშ. ისინი მოწადინებულნი იყვნენ შეინარჩუნებიათ მონოპოლია ნახშირის წარმოებაში. დონის ნახშირის მწარმოებლები ძლიერნი იყვნენ, მთავრობა მათ არ დაუწყებდა დიდ წინააღმდეგობას. მათ ეშინოდათ მეტოქეობისა. რასაკვირველია, ყოველად შეუძლებელი იყო ტყიბულის ნახშირ ს მეტოქეობაზედ ბსჯელობა თვით დონის ნახშირის წარმოება ვერ აკმაყოფილებდა რუსეთის მოთხოვნილებას და რუსეთი იძულებული იყო ინგლისიდან შემოეტანა ნახშირი. 1912 წელს რუსეთმა დაიმუშავა 2.013 მილიონ ნახშირი. შემოიტანა კი 1910 წელს—257 მილ. 1911 წ. 275 მილ. 1912 წ.— 306 მილ. ფუთი. ასეთ პირობებში ძლიერ ძნელი იყო პირდაპირ მეტოქეობაზედ ლაპარაკი. 3—4 მილიონი ფუთი ნახშირი, რომელსაც ტყიბულის მაღაროებში ამზადებდენ, შეადგენდა მხოლოდ ძლიერ მცირე ნაწილს რუსეთის მოთხოვნილებისას. 3—4 მილიონი ფუთი ნახშირი რუსეთის ბაზარზედ რომ გასულიყო კიდეც ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა, როდესაც მოთხოვნილება ასეული მილიონით განსაზღვრებოდა; როდესაც ასეული მილიონი უცხოეთიდან შემოდიოდა. საყურადღებო და საუბედურო მასთან ის არის, რომ ნახშირის მრეწველობა რუსეთში ძლიერ დაქვეითებული იყო.

რუსეთი, უდიდესი მაღაროების მესაკუთრე, უცხოეთში ეძებდა ნახშირს. ასეთ პირობებში ზეუძლებელი იყო ტყიბულის ნახშირის წარმოების გაუმჯობესება და წარმატება. მაგრამ რუსეთს საკუთარი პოლიტიკა ქონდა: პოლიტიკა უკიდურესი მფარველობისა კაპიტალისტების. ეს პოლიტიკა აფერხებდა ტყიბულის ნახშირის წარმოებას იმ მოსაზრებით, რომ არ შეეწუხებია დონის მრეწველები. კიდევ უარესი შედეგები ძველი რუსეთის პოლიტიკისა: უკვე 1901—904 წ. დამთავრდა ტყვარჩელის ქვანახშირის გამოკვლევა. აღმოჩნდა, რომ ნახშირი ტყვარჩელში დიდძალია და საუკეთესო ხარისხიო. დონის ნახშირის მწარმოებლების გავლენით რუსეთის მთავრობამ ყოველნაირათ შეაფერხა ტყვარჩელის ნახშირის დამუშავება. რუსეთის უფლმართმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ფდადესი სიმდიდრე ჩასტოვა მიწაში. ეს მოხდა იმიტომ, რომ ძველმა მთავრობამ ხათრი არ გაუტეხა დიდ მრეწველებს შინაურს და უცხოელს.

დღეს მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა. დღეს ყველაფერი ღაღადებს, რომ საჩქაროთ ამოძრავებული იყვეს ყველა ძალები.

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი არ უნდა დარჩეს უნაყოფოთ. უკვე ომიანობამდე დაისვა საკითხი ნახშირის ქარხნებში და რკინის გზებზედ გამოყენების შესახებ. ბევრნი იყვნენ მომხრენი, რომ რკინის გზები და ქარხნები ნახშირის ხმარებაზედ გადასულიყვნენ. ნავთი და ნავთის ნაწარმოების ხმარება დარჩენილიყო მხოლოდ იმ წარმოებებში სადაც დიზელის მოტორები მუშაობდენ. ამ საკითხს, ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს. ნავთის და მისი ნაწარმოების მესაკუთრე საქართველო არ არის. მაშასადამე ნავთის მოხმარებაში საქართველო ძლიერ დამოკიდებული არის მეზობელი რესპუბლიკისაგან. საჭიროა შესწავლილი იყოს, რამდენათ ეკონომიურად მისაღები არის ნახშირის ხმარებაზედ გადასვლა იმ დარგებში, სადაც არის დღესდღეობით ნავთის და ნავთის ნაწარმოების ხმარება. უნდა იქნეს გამორკვეული არა მარტო ეკონომიური მოგება ასეთი გარდაქმნისა, არამედ მისი შესაძლებლობა.

საქართველოს აქვს ძვირფასი განძი, დიდი სიმდიდრე—ქვანახშირი. წ რმოების გაუმჯობესება შესაძლებელია. შესაძლებელია გადაჭეშვება მცირე ხარისხის ტყიბულის ნახშირის ტ მიღება უმაღლესი ხარისხის მასალის (ბრიკეტის). უპირველეს ყოვლისა უნდა იქნეს გაუმჯობესებული თვით წესი წარმოებისა. ტყიბულის ნახშირს ძლიერ დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ერისთვის. სათბობი მასალის მოთხოვნილება ძლიერ დიდია. შინაური ბაზარი ითხოვს სათბობ მასალას. შეშის დამზადება ძლიერ რთული და ძვირია დღევანდელ პირობებში. ძვირფასი ხე ტყე ეწვება ყოველ წლიურად. ეკონომიურად უფრო მოსაგებია ხე ტყის მასალა გადამუშავებული იქნეს და გავიდეს საზღვარ გარეთ, სადაც ძლიერ დიდი მოთხოვნილება არის. ტყეები ყოველ წლიურად ნაწილობრივ იჭრება დ იწვება. სრულიად შესაძლებელი არის სათბობ მასალად ქვა ნახშირის გამოყენება იმ ხარისხისა, რა ხარისხისაც არის ტყიბულის ნახშირი. გასულ ზამთარს საქართველოს დიდი გასაჭირი ეწვია უშეშობის გამო. ასეთი მდგომარეობა მოსალოდნელი არის მომავალშიც, ვიდრე მოეწყობოდეს სახელმწიფოს მეურნეობა. ნახშირის დამზადება გაცილებით უფრო იოლია. ნახშირის ძალა უფრო მეტია ვიდრე ხის სათბობი მასალის ყოველ ნაირად მოსაგებია ნახშირის ხმარებაზე გადასვლა.

ნახშირის მაღაროები დიდ სიმდიდრეს წარმოადგენენ, ისინი უნდა გამოყენებულ იქნას. წარსულის შეცდომებით უნდა ვასარგებლოთ. ისინი უნდა გამოსწორებულნი იქნენ. მისაღებია მხედველობაში კიდევ ერთი გარემოება: ძველი მთავრობის დროს რკინის გზა ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას. ტყიბულიდან ნახშირის გამოზიდვა ძლიერ გაძნელებული იყო. დაუკმაყოფილებელი იყო 35 პროც. ვაგონების მოთხოვნილებისა. ეს ნაკლიც უნდა იქნეს შეწორებული და შევსებული.

ხ. ავალიანი.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

ამხ. ზინოვიევის მოხსენება კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ.

ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტის იმ შემადგენლობას, რომელმაც ეს არის ეხლა გადასცა რწმენება ყრილობის, უნდა მიექცია მიმდინარე წელს არა მცირედი ყურადღება მუშათა საერთაშორისო მოძრაობისათვის, ვინაიდან ჩვენს წარმომადგენლებს კომუნისტურ ინტერნაციონალში უხდებოდა უახლოესი მონაწილეობის მიღება ყველა განსაკუთრებით დიდ პოლიტიკურ და საორგანიზაციო კითხვების განხილვა-გადაწყვეტაში, რომლებიც წამოყენებული იყო საერთაშორისო მუშურ მოძრაობის წინაშე. წარსულ წელს მოხდა, როგორც შოგეხსენებათ, კომუნისტური ინტერნაციონალის მე 2 ყრილობა, რომელიც, ეჭვი არ არის, წაუშლელ კვალს დასტოვებს მუშების საერთაშორისო მოძრაობის ისტორიაში. ჩვენს პარტიულ ყრილობას მე არ წარმოუდგენ დაწვრილებითი ანგარიშს ამ მეორე კონგრესის შესახებ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთაგანი დიდი უმრავლესობა გაცნობილია მის მუშაობას. მე შევჩერდები მხოლოდ იმაზე, თუ რა ხდებოდა ამ კონგრესის შემდეგ.

საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, რომელშიაც მოწვეული იყო მე-2 კონგრესი, ბევრის მხრივ საგრძნობლად განსხვავდებოდა დღევანდელი ვითარებისაგან. მეორე კონგრესი მუშაობდა მაშინ, როდესაც ჩვენი არმიები ვარშავს უახლოვდებოდნენ. მეორე კონგრესის დარბაზში ჩამოკიდებული იყო რუკა, რომელზედაც ყოველდღე აღინიშნებოდა ჩვენი ჯარების მსვლელობა. და დელეგატები ყოველ დილას გროვდებოდნენ ამ რუკასთან, ეს რამოდენიმედ სიმბოლო იყო: საერთაშორისო პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენელნი დიდის ინტერესით, შეიძლება ითქვას, გულის ფანცქალით ადევნებდნენ თვალყურს ჩვენი არმიების ყოველ ნაბიჯს, და ყველას მშვენივრად ესმოდა, რომ თუ ჩვენი ლაშქრის წინ დაყენებული მიზანი განხორციელდებოდა, ეს მომასწავებელი იქნებოდა საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის ძალიან დაჩქარებისა.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ომის ბედმა არ გაგვიღიმა, და ჩვენ დიდი უკანდახევის მოწმენი გავხდით. ამ უკანდახევამ რამოდენიმედ შეანელა საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის ტემპი. იგულისხმება, აქ დიდი როლი ითამაშა კიდევ სხვა ფაქტორების მთელმა წყებამ, რომელნიც არ იყვნენ დამოკიდებულნი საბჭოთა რუსეთსა და მის ლაშქარზე, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, დიდი გავლენა მოახდინა საომარ ფრონტის ამ ხაზზე ჩვენმა დამარცხებამ.

საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობის ტემპი, ეჭვი არ არის, შენელდა. მაგრამ კომუნისტური ინტერნაციონალის მთელი მეორე კონგრესი თავის ტაქტიკას აშენებს ორ ფრონტზე, ორ შესაძლებლობაზე, ორ პერსპექტივაზე. ეს ასეც უნდა ექნათ მარქსისტებს, საერთაშორისო პროლეტარიატის საკმაოდ შორს ნაჭვრეტელ ხელმძღვანელებს. ამასთან დაკავშირებით მე მგონია, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის მიერ მიღებული ძირითადი ტაქტიკური გადაწყვეტილებანი სრულებით არ შერყეულა იმით, რომ მსოფ

დღეს ნოემერში:

26 მაისს გაიხსნა რ. კ. პარტიის კონფერენცია. ამხ. ლენინის სიტყვა ეკონომიურ პოლიტიკის და სასურსათო გადასახადის შესახებ.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ გადასდო 30 მილიონი მანეთი ოქროთი, რომლითაც შეძენილია მუშებისათვის სხვა და სხვა საქონელი და სურსათი.

შემაღლროეთა გაფიცვასთან და კავშირებით ინგლისში მდგომარეობა თანდათან უარესდება: ქარხნები იკეტება, მოსალოდნელია რკინის გზის და ტრამვაის მოძრაობის სრული შეწერება.

საფრანგეთში მუშები მოითხოვენ კომუნისტურ ინტერნაციონალთან შეერთებას, ამასთან შემთანხმებლებს უნდობლობას უცხადებენ.

ამერიკის ბურუუაზია მოწადინებულია რუსეთთან საგაჭრო ურთიერთობა აღადგინოს.

ინდოეთსა და ირლანდიაში ისევ გრძელდება მღელვარება და ამბოხებები ინგლისის ხელისუფლების წინააღმდეგ.

ლიო რევოლიუციის მოძრაობა უფრო ძნელი ტემპით სწარმოებს, ვინემ ეს სასურველი იყო და მოსალოდნელი იმ დღეებში, როდესაც ჩვენი ჯარი ამსხვრევდა პოლონეთის უძლიერეს სიმაგრეთ, როგორც ქალაქის კოშკებს. ყოველ შემთხვევაში, კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის გარდაწყვეტილებებმა შექმნეს ეპოქა მთელი ქვეყნის მუშათა პარტიების ცხოვრებაში. არ არის ისეთი პარტია, რომელსაც ასე გაეხადოს ეს გარდაწყვეტილებანი მსჯელობის საგნად კვირეების და თვეების განმავლობაში. არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც ეს გარდაწყვეტილებანი მთლიანად არ გამოქვეყნებულიყოს, მიუხედავად ყოველგვარ აღკრძალვათა და დაბრკოლებებისა, მიუხედავად სამხედრო და სხვაგვარ ცენზურისა. მთელს ქვეყანაში არ არის არც ერთი მუშათა კავშირი, არც ერთი რამოდენიმედ მნიშვნელოვანი მუშური ჯგუფი, ჯგუფი შეგნებულ პროლეტარებისა, რომელთაც საფუძვლიანად არ ჰქონდეთ შესწავლილი კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის თეზისები. ეს აიხსნება იმით, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესმა დააყენა და გადასწყვიტა და, შეიძლება ითქვას, სწორად გადაჭრა ყველა საჭირ ბოროტო საკითხები მთელი ეპოქისა, რომელიც იდგა დგას საერთაშორისო მოძრაობის წინ. მე შეეცდები წარმოგიდგინოთ მოკლე მიმოხილვა იმისა, თუ როგორ ვითარდებოდა ამბები კომ. ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის შემდეგ უმთავრეს პარტიებში, რომელნიც კომ. ინტერნაციონალს შეუერთდნენ, და როგორია ეხლა საქმის მდგომარეობა ამ პარტიებში.

კომუნისტურ ინტერნაციონალის მე 2 კონგრესის შემდეგ პირველი უმნიშვნელოვანესი ამბავი გახლდათ ყრილობა გალეში. ეჭვს გარეშეა, ეს იყო მოსახვევი პუნქტი ევროპიელ მუშათა მოძრაობის განვითარებაში. იგულისხმება, თქვენ გაცნობილი ხართ საქმეთა მსვლელობას გალეში. მე არ ავავსებ ჩემს მოხსენებას დაწვრილებითი ცნობებით ამ ყრილობის შესახებ. ვიტყვი მხოლოდ მოკლედ. იქ შეიქმნა განსაკუთრებული მდგომარეობა. გალეს ყრილობის წინა ხანებში გერმანიაში არსებობდა კომუნისტური პარტია, რომელსაც ჰყავდა დაახლოვებით 50.000 წევრი. ამ 50.000 წევრიან პარტიას გალეში ყრილობის შემდეგ, იდეურად შეუერთდა 450.000 კაცი. სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობაა, როდესაც ნახევარი მილიონი იდეურად უერთდება 50 ათასს. გასაგებია, ჩვენ არ შეგვეძლო მოლოდინი გვქონდა, რომ ასეთი გაერთიანება მოხდებოდა უცბად და სრულიად უმტკივნეულოდ. მოსალოდნელი იყო, რომ იქნებოდა ერთგვარი რეციდივები, ქანაობა, რასაც ადგილი ქონდა წინ დამოუკიდებელთა პარტიაში, რომელსაც ჩვენ ჩამოვაშორეთ დაახლოებით ნახევარი—ნახევარ მილიონი წევრი. გალეში, ევროპიულ ნიადაგზე შეეჯახა ჩვენი და ოპორტუნიზმის შეხედულებანი, მის (ოპორტიუნიზმის) ყველაზე უფრო დასრულებულ და დახელოვნებულ ფორმაში, რომელსაც წარმოადგენდა დამოუკიდებელთა მემარჯვენე ფრთა. ეს მემარჯვენე ფრთა არ წარმოადგენს უხეშ, ტლანქ, ვიწრო მენშევიზმს, არამედ არის რამოდენიმედ განწმენდილი, „მეცნიერული“ დასაბუთება ოპორტუნიზმისა. გალეში ჩვენ მოგვიხდა ბრძოლა არსებითად მთელი ევროპის წინაშე (მთელი ქვეყნის მუშების წინაშე). ეს იყო გადამწყვეტი იდეური შეჯახება ჩვენი შეხედულებისა კაუტსკის და გილფერდინგის ძველი სახელ გატეხილი ოპორტუნიზმის უკანასკნელ მაგიკანების შეხედულებებთან. ეჭვს გარეშეა, ამ დუელიდან ჩვენ გამარჯვებულნი გამოვედით, ეს აღიარებულ იყო არა მარტო ჩვენი მეგობრების, არამედ მტრების მიერაც, რომელთაც, არა პირდაპარ, თავისი განგაშით, ჩივილით, გაბმწარებული ლანძღვა-გინებით—დაადასტურეს, რომ მათ გალეში განიცადეს იდეური მარცხი. ეხლა კითხვა დგას იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდება შემდეგში ნახევარ მილიონ წევრიანი პარტია, რომლის შექმნაში კომ. ინტერნაციონალის აღმ. კომიტეტს შესამჩნევი ღვაწლი მიუძღვის. საქმე, როგორც მოსალოდნელი იყო, რამოდენიმედ დაბრკოლდა. ჩვენ ვხედავთ ეხლა ერთგვარ კრიზისს გერმანიაში. ამ ყრილობაზე მე მივიღე რამოდენიმე ბარათი, რომლებშიაც ამხანაგები მთხოვენ აუხსნა—რითაა გამოწვეული, რომ გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტიდან გავიდა მისი 5 წევრი, მათ შორის ისეთი, როგორც კლარა ცეტკინი. საქმე ამ ნაირად აიხსნება. შემდეგი ძალიან მწვავედ დგას იტალიის საკითხი.—ეს საკითხი არ არის საკითხი მარტო იტალიისა. შემდეგი მოიხრობიდან თქვენ გაიგებთ, რომ ჩვენი კონფლიქტი იტალიელ სოციალისტების განსაზღვრულ ნაწილთან არსებითად არის კონფლიქტი საერთაშორისო ხასიათისა: წინასწარ ვიტყვი, რომ იტალიაში სწარმოებს კომუნისტების ბრძოლა წინააღმდეგ ცენტრისტებისა სერატის და მისი ჯგუფის სახით. ცენტრისტულ ელემენტებს იტალიაში სუბიექტიურად კომუნისტებად მოაქვთ თავი, მაგრამ საქმით კი ისინი ცალი ფეხით „ცენტრი“ს ბანაკში სდგანან. იმ მომენტში, როდესაც იტალიური საკითხი გამწვავდა, გერმანულ პარტიაში, რომელიც თვითონ ეს იყო ამავე ავადმყოფობისაგან განიკურნა,—დაიწყო განსაზღვრული მერყეობა იმავე მიმართულებით. ამ რყევამ გამოხატულება ჰპოვა გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. თავისთავად გასაგებია, როდესაც პარტიაში ერთგვარი არევ-დარევა იწყება, ან როდესაც პარტია ძველი კრიზისის დაძლევის პროცესშია, როდესაც სწარმოებს ახალი შეჯგუფებანი, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შემთხვევითი შემოერთებათ, რომელნიც შემდეგ სწრაფად სცილდებიან. ჩვენ ვიცით, საკუთარი გამოცდილებით, რომ იყვნენ მუშაკთა ცალკე ჯგუფები, რომელნიც ცოტად თუ ბევრად კრიზისის დასაწყისში ეპიზოდიური ხასიათის მიზეზების გამო, ხვდებოდნენ იმ ბანაკში, რომელშიაც ისინი არ უნდა ყოფილიყვნენ—და შემდეგ, როდესაც ყველაფერი ნათელი ხდებოდა, ეს ამხანაგები იკავებდნენ პოზიციას იმ ბანაკში, სადაც ისინი უნდა იყვნენ თავისი მსოფლმხედველობით, ტემპერამენტით და წარსული მოღვაწეობის მიხედვით. დაახლოვებით, ასე მოუვიდა ამხ. კლარა ცეტკინს. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ის რუსეთში იყო. ჩვენ აღვნიშნეთ სრული სოლიდარობა მასთან თითქმის ყველა საკითხების გამო. ჩვენ მას მივეცით მანდატი, რომ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით მონაწილეობა მიეღო მეტად მნიშვნელოვან ყრილობაზე ტურეში, საფრანგეთში. მან ბრწყინვალეთ შეასრულა დავალება. როდესაც გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიის ც. კომიტეტის რიგებში აღინიშნა ერთგვარი მემარჯვენე შეჯგუფება, ის—მე დარწმუნებული ვარ, შემთხვევითი მიზეზების გამო და არა ხანგრძლივად პირველ ხანებში აღმოჩნდა არა იმ ბანაკში, სადაც ის, უეჭველია, იქნება ხვალ, ან ზეგ. მისი ადგილი, ეჭვი არ არის, გერმანიის კომუნისტურ პარტიის მარცხენა ფრთის ბანაკშია, რომელიც სავსებით სდგას კომუნისტური ინტერნაციონალის აღმ. კომიტეტის პლატფორმაზე. რაც სამწუხარო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ კლარა ცეტკინი გამოვიდა ც-კომიტეტის შემადგენლობიდან,—ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს მის ცხოვრებაში პატარა ეპიზოდია, სწრაფად წარმავალი მოვლენა. მეორე წევრი, რომელიც გამოვიდა გაერთიანებულ პარტიის ც. კომიტეტიდან, მთელი თავისი წარსულით, პირიქით, მომზადებული იყო იმისათვის, რომ ამისთანა მომენტში მარჯვნივ გადახრილიყო. მე მხედველობაში მყავს ამხ. პაულე ლევი, რომელმაც გავლენა მოიპოვა უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ რაც ბურჟუაზიამ თავი მოკვეთა გერმანულ კომუნისტურ პარტიას. გერმანიაში მოხდარი ამბები ჩვენ გვარწმუნებენ, თუ როგორ ავადაკურია ხანდახან ბურჟუაზიის პოლიტიკა. ცხადია ჩვენ ყველამ, როგორც მარქსისტმა ვიცით, რომ ცალკე პიროვნების როლი ისტორიაში არც ისე გადამწყვეტია, როდესაც საქმე ეხება მრავალ მილიონების მოძრაობას. მაგრამ გერმანიის კომუნისტურ პარტიის მაგალითზე ჩვენ ვხედავთ მაინც, თუ რა გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ბურჟუაზიამ შესძლო გერმანულ კომუნისტური პარტიის ბელადების მოკვლა. ამხანაგ ლევის მოუხდა პარტიას სათავეში ჩასდგომოდა მაშინ, როდესაც ის (პარტია) განადგურებული იყო, როდესაც მან განიცადა დამარცხება. იანვრის პირველ აჯანყებაში. ლევიმ შექმნა თავისი პოლიტიკური კარიერა ბრძოლით „მემარცხენე“ ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც, მართლაც, ბევრ რამესა რევდნენ და რევენ ეხლაც, მაგრამ რომელთა შორის არიან აგრედვე მრავალნი, რევოლიუციის საქმისათვის თავდადებული მუშები. ამხ. ლევის ყოველთვის ემჩნეოდა მიდრეკილება მარჯვნივ წარემართა გერმანიის კომუნისტური პარტია. მასთან ჩვენ გვქონდა დავა კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე [illegible] დარჩა განათლებული წინამძღოლები გერმანიის კომუნისტურ პარტიის რიგებში, ჩვენ ყველანი, განსაკუთრებით კი ამხ. რადეკი, რომელიც უკეთესად იცნობდა გერმანულ პირობებს, ვინემ თვითეული ჩვენთაგანი, ვცდილობდით მხარი დაგვეჭირა ამხ. ლევისათვის, მისთვის დახმარება აღმოგვეჩინა მის ბრძოლაში მოწინააღმდეგეებთან, მაგრამ რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო ვრწმუნდებოდით, რომ ამხ. ლევი იხრებოდა ოპორტუნიზმისაკენ. და ეხლა, როდესაც მე თქვენ ანგარიშს გიდგენთ, ჩვენს შორის არ არის მცირე ეჭვიც, მცირე უთანხმოებაც იმის გამო, რომ იდეური ბრძოლა ამ ამხანაგის წინააღმდეგ უსათუოდ აუცილებელია. და ვინც ჩვენთაგანი, როგორც ამხ. რადეკი, სრულებით გასაგები მიზეზებით, გერმანელ მუშათა მოძრაობასთან თავიანთ უფრო დაახლოვებული დამოკიდებულების გამო, ყველაზე მეტი ცდილობდნენ გაეჭიანურებინათ ლევისთან ჩვენი გაწყვეტილების მომენტი,—ეხლა, გამოდიან რა გერმანიის მუშათა პარტიის ინტერესებიდან,—სხვანაირად ფიქრობენ. ეხლა ამ საგანზე ჩვენ შორის სრული სოლიდარობაა: კიდევ გადადება არ შეიძლება, და ამხ. რადეკმა პირველმა დაიწყო იდეური ბრძოლა ლევისა და მისი ჯგუფის წინააღმდეგ თვით გერმანიაში.

საქმეთა მსვლელობამ შემდეგი მიმართულება მიიღო. არც ისე ბევრი ხანია რაც შესდგა გერმანიის გაერთიანებული კომუნისტურ პარტიის გაფართოებული ც. კომიტეტის სხდომა, რაც ჩვენში უდიდესი პარტიულ კონფერენციას. იქ დასმული იყო საკითხები: იტალიის ამბებზე, მემარცხენე ელემენტებთან დამოკიდებულობაზე გერმანიასა და მთელ კომუნისტურ ინტერნაციონალში. სწორედ აქ მოხდა გაყოფვა, რომლის შესახებ თქვენ უკვე იცით. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის კონფერენციამ სწრაფად განაახლა თავისი ც. კომიტეტი, მის სათავეში დააყენა მემარცხენე ელემენტები, და ამ მძიმე წუთებში არ შედრეკილა. ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის რყევა, რომელიც ეხლა ემჩნევა გერმანიაში, ასე დარჩება რყევად მხოლოდ ზედა წრეებშია. არავითარი ეჭვი არ არის, რომ როდესაც საკითხი დაისმება ფართო მასსების სამსჯავროთ, ისინი დიდის უმრავლესობით ხმას მისცემენ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმ. კომიტეტის შეურიგებელი პოლიტიკის სასარგებლოდ. გერმანიაში არა ძცირედი როლი ითამაშა გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიისადმი დამოკიდებულების საკითხმა. ეს შედარებით მცირე პარტიაა, რომელიც გამოეყო სპარტაკის კავშირის ძირითად ჯგუფს, იანვარში დამარცხების შემდეგ, და რომელიც შემდეგ ნაწილობრივ უკან დაბრუნდა კომუნისტური პარტიის რიგებში. მაგრამ ერთი ჯგუფი, საკმაოდ შეკავშირებული, დარჩა ცალკე პარტიად. ეს მცირე რიცხოვანი პარტიაა. მისი პროგრამა მეტის მეტად აბნეულია. მას ემჩნევა დიდი გავლენა სინდიკალისტურ დანარქ სტულ მიმდინარეობათა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა ამხანაგების საერთო აღიარებით, ამ პარტიის წევრებში არიან რამოდენიმე ათასი მუშები, რომელნიც ჩამოშორდნენ ძველ პარტიას მისი ოპორტუნისტული ფრთის წყალობით და თავდადებით ემსახურებიან პროლეტარულ რევოლიუციის იდეას. საქმის ასეთი ვითარების გამო, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმ. კომიტეტს აუცილებლად მიაჩნდა მოემოქმედა ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო, რომ არ დაკარგოდა ეს მცირე, მაგრამ მაინც მუშური რევოლიუციონური ჯგუფი, თუმცა თავის ნაწილში სინდიკალისტურად განწყობილი. ჩვენი დამოკიდებულება საერთაშორისო სარბიელზე რევოლიუციონურ ანარქისტულ ელემენტებთან უნდა იყოს რამოდენიმედ სხვანაირი, ვინემ საბჭოთა რუსეთში. ეს დამოკიდებულება უნდა იყოს ისეთი, როგორიც იყო ჩვენში 1917 წელს, როდესაც არა ერთ და ორჯელ გამოვდიოდით ანარქისტებისა და სინდიკალისტების განსაზღვრულ ფრთასთან ერთად ბურჟუაზიის, კერენსკის, მენშევიკების წინააღმდეგ. მაშინ საქმე ეხებოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლას. აქ იყო ისეთი რამ, რაც ჩვენ გვაერთებდა. ყველა ჩვენთაგანი, რომელიც მონაწილეობდა რევოლიუციაში, გაიხსენებს ბევრ შემთხვევას, როდესაც ჩვენ უნდა დაგვემყარებინა ერთგვარი საომარი შეთანხმება სინდიკალისტურ და ანარქისტულ ელემენტებთან. ნაწილი მათი შეჰყვა ჩვენს რიგებში გადმოვიდა, ნაწილმა განიცადა პროლეტარულ რევოლიუციის ასიმილიაცია და ეხლაც მუშაობს საბჭოთა რესპუბლიკაში მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. იგულისხმება, პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების მოპოვების შემდეგ, როდესაც ანარქისტული, დამღვრევი, დეზორგანიზატორული ელემენტები სინდიკალიზმის და ანარქიზმისა შეიქმნენ ჩვენთვის ისე მტრულნი და საშიშნი, როგორც იყვნენ ბურჟუაზიისთვის,—ჩვენ უნდა გამოგვეცვალა მათთან დამოკიდებულება. მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე, როდესაც პროლეტარულ რევოლიუციის წინა დღეებში ვიმყოფებით, ჩვენ, ვიღებთ რა მხედველობაში რუსულ რევოლიუციის გამოცდილებას, იძულებულნი ვართ ურჩიოთ ჩვენს ამხანაგებს, [illegible] ერად, განსაკუთრებით მუშურ ჯგუფებს და ორგანიზაციებს, რომელთაც ჯერ კიდევ კარგად ვერ გაუგიათ ჩვენი ტაქტიკის მნიშვნელობა, ჯერ კიდევ იბნევიან სოციალიზმის უდიდესი კრიზისის შემდეგ, რომელიც განიცადა საერთაშორისო მოძრაობამ ომთან დაკავშირებით. ასეთი იყო ჩვენი ტაქტიკა კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე, ჩვენ შეუფარდეთ ეს ტაქტიკა გერმანიის პირობებს და დაუშვით სათათბირო ხმით გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია, რომელსაც ჩვენდამი სიმპატიური განწყობილება ემჩნეოდა. ამან რამოდენიმედ გაამწვავა მდგომარეობა გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტური პარტიის ც. კომიტეტში. ამხ. ლევიმ და მისმა ჯგუფმა, რომელნიც სწორედ ამ ელემენტებთან ბრძოლამ წასწია წინ, დაინახეს ამაში კომუნისტური ინტერნაციონალის ცოდვა, ერთგვარი დახმარება ჩვენის მხრივ ამ ელემენტებისადმი ლევის ჯგუფის წინააღმდეგ. ამან მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე, რომელიც ეხლაა შემნილი. ასალთან კონგრესზე ჩვენ განზრახვა გვაქვს ეს საკითხი პირდაპირ დავსვათ. იგულისხმება, შეუძლებელია ბევრ ხანს გავარგძელოთ მდგომარეობა, როდესაც ერთი ქვეყნიდან ორი პარტია წარმოდგენილი, მაგრამ ჩვენ მოვიმოქმედებთ რაც შეიძლება ყველაფერს, რომ გერმანიის კომუხისტური მუშათა პარტიიდან უფრო ჯანსაღი ელემენტები გადავიყვანოთ გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიის რიგებში. მე მგონია, რომ ჩვენი ტაქტიკა იყო და რჩება სწორი. ის რყევა, რომელიც გამოაშკარავდა ზედა წრეებში, სრულიად ვერ შეგვაცვლევინებს ამ ელემენტებთან ჩვენს დამოკიდებულებას.

(გაგრძელება ხვალ)

საბჭოთა რუსეთში

გრუკავროსტას დეპეშები

სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენცია.

მოსკოვი, 26 მაისი. (რადიო). დღეს მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენცია. კონფერენცია საქმიანი და შინაარსიანია. მისი უმთავრესი ყურადღება მიქცეულია ეკონომიურ პოლიტიკის საკითხებზე. კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულნი არიან—ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, პეტროვსკი, ვედოკიმოვი და ლანდა. სამანდატო კომისიაში—კასელიევი, კრილოვი და კომაროვი. კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღიური წესრიგი: 1) ეკონომიური პოლიტიკა: ა) სასურსათო გადასახადი, ბ) კოოპერაცია, გ) წვრილი მრეწველობა, დ) ფინანსები; 2) პროფ. კავ. მეოთხე ყრილობის შესახებ. 3) ესერების და მენშევიკების როლი ამ უკანასკნელად შექმნილ მომენტში, 4) კომინტერნაციონალის მესამე კონგრესი, 5) და მიმდინარე კითხვები.

ამხ. ლენინის სიტყვა.

ეხლანდელი კონფერენცია მოწვეულ იქნა უფრო ადრე, ვიდრე ეს იყო განზრახული. კონფერენციის დღიურ წესდიგში უმთავრესი ალაგი უკავია ეკონომიური პოლიტიკისა და სასურსათო გადასახადის საკითხებს. ის პოლიტიკა, რაც ამ ჟამათ ადგილობრივათ ტარდება სასურსათო გადასახადის გარშემო, დღესაც გაურკვეველია და თითქმის გაუგებარიც რჩება. ეს აუცილებელიცაა, სანამ ჩვენ ერთს სასურსათო კომპანიას მაინც არ ჩავატარებთ ახალ საფუძველზე, რაც მოგვცემს ერთგვარ პრაქტიკულ გამოცდილებას.

მუშათა კლასი და გლეხობა

თანამედროვე ისტორიაში ჩვენ პირველად გვაქვს საქმე საბჭოთა რუსეთის საზოგადოებრივ წყობილებასთან, სადაც მყვლეფელთა — გაბატონებული კლასი გაძევებულია ცხოვრების ზედა პირიდან. ჩვეს გვყავს ორი სხვა და სხვა კლასი. პირველია მუშათა კლასი, მეორე გლეხობა. გლეხობა აქ გაცილებით დიდი უმრავლესობაა. სრულებით ბუნებრივია, როცა ეს უმრავლესობა გავლენას ახდენს ეკონომიურ პოლიტიკაზედაც. მუშათა კლასა და გლეხობას შორის შეთანხმება შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როცა გლეხობა მუშათა კლასის დიქტატურას მხარს დაუჭერს. დიქტატურა კი ერთ ერთი საშვალებათაგანია კლასობრივობის მოსასპობათ.

გლეხობასთან შეთანხმება სამოქალაქო ომის დროს

სამოქალაქო ომი ჩვენში მუდამ იწყებოდა, ვითარდებოდა და მიმდინარეობდა თეთრ-გვარდიელების, ესერების და მენშევიკების შეთანხმებულ მოქმედებით ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენი მედგარ შეტევის შემდეგ, მენშევიკები და ესერები უკან ჩამორჩნენ და ჩვენა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოდიოდნენ მემამულეთა და კაპიტალისტთა ელემენტები. მხოლოთ მუშათა კლასმა შესძლო დიქტატურა გახორციელება. ეს კი აუცილებელი ომით უნდა მოგვეპოვებია. სამოქალაქო ომის პირობებმა და მასში მემამულეთა მონაწილეობამ, უფრო მჭიდროთ შეაკავშირა მუშათა კლასი და გლეხობა კაპიტალისტთა და მემამულეთა საწინააღმდეგო ბრძოლის საწარმოებლათ.

სასურსათო გაწერა.

იმ მეტათ მძიმე მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით, იმის გამო, რომ ჩვენ სრულებით მოწყვეტილი ვიყავით პურის რაიონებს, ჩვენი სასურსათო პოლიტიკის განხორციელება ყოვლათ შეუძლებელი იყო, თუ არ შემოვიღებდით სასურსათო გაწერას. მხოლოთ ამ გზით შეგძელით არა მარტო ზედმეტის აღება საერთოდ, არამედ ერთი და იმავე ადგილიდან რამდენჯერმე ზედმეტის ამოღებაც. მან სამხედრო დროის პირობებში მოგვცა სრული საშვალება მრეწველობის შესანარჩუნებლათ.

ახალი მიზნები.

ჩვენ უკვე ბოლო მოუღეთ ჩვენს მტრებს ფრონტებზე. მე-21 წლის გაზაფხულზე ჩვენ წინ დაგვიდგა ახალი მიზნები. წარსულ წელს რომ კარგი მოსავალი მოგვსლოდა, ჩვენ მივიღებდით 400,000,000 ფუთ პურს, და შევიძლებდით ჩვენი საწარმოვო პროგრამის შესრულებას; მაშინ ჩვენ შეგვეძლო შეგვექმნა ქალაქის ნაწარმოების ფონდი საძიწად მომქმედო ნაწარმოებზე გადასაცვლელათ. მაგრამ სათბობის კრიზისმა, სასურსათო არევ დარევამ და მოუსავლობამ ხელი შეგვიშალა და ჩვენი საწარმოვო პროგრამა არ შეგვასრულებინა. ყველა ამ მიზეზების გამო ჩვენ არ შეგვეძლო დაგვეტოვებინა შეუცვლელათ ძველი სასურსათო პოლიტიკა.

გადასახადი და საქონლის გაცვლა.

ნატურალური გადასახადი—ეს დროებითი ზომაა ისეთ წესზე გადასასვლელად, რომ გლეხი სცვლიდეს თავის ნაწარმოებს ფაბრიკის, ქალაქის (გამოტოვებულია). გლეხების განთავისუფლების დროს იმ... (გამოტოვებულია)... რომელნიც არსებობდნენ კაპიტალისტურ წესწყობილების დროს, მაგრამ გარემოებამ გვაიძულა ჩვენ მიგვეღო გარდამავალი ფორმა ნატურალურ გადასახადისა, რომლის დროს ნაწარმოებთა ნაწილი აღებულ იქნება გადასახადის სახით და აღარ გაიცვლება დამატებით ნაწარმოებზე, რომ უზრუნველვყოთ შეუჩერებლივი აღორძინება ამ მრეწველობისა, ჩვენ უარი არ უნდა ვსთქვათ ხელშეკრულების დადებაზე საზღვარ-გარეთელ კაპიტალისტებთან, რომელნიც დაგვეხმარებიან მოვაწყოთ ჩვენი მრეწველობა.

ჩვენ ვსძლევთ ჩვენს საქმეებს.

წელს მოსავალს სულაც არა აქვს ისეთი ცუდი პირი, როგორც მოსალოდნელი იყო გაზაფხულზე. ეს შეგვძლებინებს შევქმნათ სასურსათო ფონდი მრეწველობის განუწყვეტელ აღორძინებისთვის. სასურსათო გადასახადი სწრაფათ უნდა გავატაროთ. ყოველი დაგვიანება შეავიწროვებს გლეხებს.

კაპიტალიზმი ჩვენთვის საშიში არაა.

როდესაც პროლეტარიატს თავის ხელში უჭირავს მსხვილ მრეწველობის ყველა წყაროები, ჩვენთვის საშიში როდია ის კაპიტალიზმი, რომელიც იზრდება წვრილ საკუთრების და წვრილ ვაჭრობის ნიადაგზე.

რაც შეიძლება მეტი თვით-მოქმედება.

ჩვენი უმთავრესი საქმეა, განაგრძობს ლენინი, მეტი თვით-მოქმედება გამოვაჩინოთ ადგილობრივ. ჯერჯერობით ჩვენ ხელთ არა გვაქვს შეკრებილი პრაქტიკული გამოცდილება საქონლის გაცვლის საკითხის შესახებ; იმ საკითხის შესახებ, თუ რამდენათ მოვახერხეთ წვრილი მრეწველობის აღდგენა და განვითარება, ადგილობრივ ბევრგან უკვე მიაღწიეს საინტერესო შედეგებს. უმეტესი ყურადღება, ათავებს ლენინი, უნდა მიექცეს არა საზოგადო თეზისებისა და პროგრამების შესწავლას, არამედ პრაქტიკულ ცდისა და მაგალითების შესწავლას და ამ მარჯვე ცდების გამეორებას უკან დარჩენილ და საშუალო რაიონებში.

საქონელი საზღვარ-გარეთიდან მუშებისათვის.

მოსკოვი. 22 მაისი. (რადიო). სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო 30 მილიონი მანეთი ოქრო საზღვარ-გარეთ საქონლის საყიდლათ მუშებისათვის. უკანასკნელ დრომდე ნაყიდია 450 ათასი ფუთი ლიბიო, [illegible] ათასი ფუთ [illegible]

ჯი, 16 ათასი ფუთი ცერცვი, 58 ათასი ფ., ხორბლის ფქვილი, 150 ათასი ფუთი თევზი, 62 ათასი ფუთი ძროხის ქონი, 79 ათასი ფუთი ღორის ქონი. 49 ათასი ფუთი ხორცის კონსერვი. ამას გარდა, ხაყიდია 600 ათასი წყვილი ფეხსაცმელი 50 ათასი ფუთი საპონი, 22 ათასი ეროსი ძაფი. უკვე მოვიდა ლობიო—135 ათასი ფუთი, ბრინჯი—20 ათასი ფუთი, ცერცვი—15 ათასი ფუთი, ხორცის კონსერვი—48 ათასი ფუთი, ხორბლის ფქვილი—25 ათასი ფუთი, თევზი—400 ათასი ფუთი.

(კავროსტა).

მოსკოვის ალმასრულებელი კომიტეტის მოწოდება.

მოსკოვი. 11 მაისი. მოსკოვის ალმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე გამოირკვა, რომ მიღებულ ღონისძიებათა წყალობით მოსკოვში მოისპო შავი სახადის ეპიდემია. ამ უამათ ჩვემუქრება ხოლერის ეპიდემია, კუჭის სახადი, მუცელა; კუჭის სახადი იყო გასულ წელს რომლითაც მოსკოვში 1.200, ხოლო მაზრაში 30 ათასი კაცი გახდა ავათ. ეს ეპიდემია ეხლა ისპობა მაგრამ საშიშია, რომ ივლისში ისევ არ იფეთქოს. უკვე არის მის ნიშნები. ამიტომ განზრახულია წინასწარი ღონის-ძიებათა მიღება. ალმასრულებელმა კომიტეტმა გამოაცხადა გასუფთავებულ წყლის მიწოდების და კანალიზაციის სამუშაოები სასწრაფო სამხედრო საქმედ. 5—18 ივნისამდე მოსკოვსა და გუბერნიაში მოეწყობა სისუფთავის, წყლის მიწოდების და ხოლერასთან ბრძოლის და სხვა ღონისძიებათა კვირა. ამასთან ერთათ გადაწყვეტილია მცხოვრებთ საგანგებო მოწოდებით მიმართონ მოსალოდნელ ხოლერასა და კუჭის სახადთან საბრძოლველად. მოწოდებაში ნათქვამი იქნება, რომ ეპიდემიასთან ნაყოფიერი ბრძოლა შეესაძლებელი იქნება ყველა მშრომელთა აქტიური მონაწილეობით. საჭიროა დახმარება და შეგნებული დამოკიდებულება მცხოვრებთა მხრით. შემდეგ მოწოდებაში აღინიშნება ხოლერის და კუჭის სახადის საწინააღმდეგო ღონისძიებანი.

პროფკავშირთა მე-4-ე ყრილობა.

ხალამი წითელ ლაშქარს.

7 მილიონი ფიზიკურათ და გონებრივათ მშრომელი შეკავშირებული პროფესიონალური მუშები ფიცსა სდებენ, რომ ისინი, მხნევდებიან რა ძლევა მოსილ წითელ ლაშქრის მაგალითით, არაფერს არ დაზოგავენ რომ მუშათა კლასმა შრომის ფრონტზე გამოიჩინოს ისეთივე გმირობა, სიმტკიცე და თავდადება, როგორიც გამოიჩინა სამხედრო ფრონტზე წითელმა ლაშქარმა.

სალამი საერთაშორისო პროფკავშირების საბჭოს.

ყრილობა გამოსთქვამს რწმენას, რომ სწყვეტს რა იგი სამეურნეო პროფესიონალურ მორიგ საკითხებს, იგი მიდის იმ გზით, რომლითაც დაიწყებს მოძრაობას მთელი ქვეყნის პროფესიონალურათ დარაზმული პროლეტარული მასსა, რომელზედაც აუცილებლათ დადგება მსოფლიოს მუშათა კლასი მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ.

რუსეთის პროფკავშირების მიზანი საერთაშორისო კონფერენციაზე.

მოსკოვი. 24 მაისი. (რადიო) გუშინ საღამოთი შესდგა პროფკავშირების პლენუმის ყრილობის სხდომა. ამხ. ლოზოვსკიმ დაახასიათა რა მსოფლიო პროფესიონალური მოძრაობა, აღნიშნა, რომ მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე რუსეთის პროფესიონალურმა მოძრაობამ უნდა აწარმოვოს გადამწყვეტი ბრძოლა ლოზუნგით „შორს კავშირებისაგან“ წინააღმდეგ.

პროფკავშირების მე-4 ყრილობა.

მოსკოვი, 21 მაისი. (რადიო) გუშინდელ პლენარულ სხდომაზე თავის მოხსენების დროს ამხ ლოზოვსკიმ პროფესიონალურმ მოძრაობის შესახებ სხვათა შორის აღნიშნა, შემდეგი: პროფესიონალურ კავშირების წინაშე დღეს არის ახალი პრაქტიკული ამოცანები, ახალი კითხვები. მას ჰქმნის ორი ფაქტორი: ერთია ომის დამთავრება, მეორე კი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან განახლებული სავაჭრო ურთიერთობა. უკვე გამოიცვალა ის მდგომარეობა, როცა ჩვენ კაპიტალისტურ მუხრუჭით გარშემორტყმული ვიყავით, ახლა ჩვენ ვუახლოვდებით ახალ ხანას, როდესაც ჩვენ ქვეყანაში მეექვსეჯერ იქმნება კაპიტალიზმი.

ამ პირობებში ჩვენ უნდა შევქმნათ საქონლის ვალიუტა, რამდენათაც შესაძლებელია უნდა გავამაღლოთ და გავაძლიეროთ ჩვენი წარმოება, რომ ეხლავე სწრაფათ შევსძლებთ საქონლის დიდი რესურსების შექმნას, ამის იმედი ჩვენ არ უნდა ვიქონიოთ, ამიტომ უმთავრეს ფონდს უცხოეთთან დამოკიდებულების საქმეში უნდა წარმოადგენდეს კონცესიები. პროფესიონალურ კავშირების წინაშე დგება საკითხი, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს შრომა იმ ნაწარმოებში, სადაც ნაციონალიზაცია გატარებულია აგრეთვე რაც კონცესიურ პირობებში იქნება. საკონცესიოთ გადაცემული უცხოელებზე. პროფესიონალურ კავშირების უმთავრესი ამოცანაა—მოწყობა და ძოწესრიგება ჩვენი სასურსათო სახელმწიფოებრივი მსხვილი მეწარმეობებისა. უნდა შევაერთოთ დღეს დაქსაქსული მუშათა ძალა და შეუდგეთ მსხვილ მრეწველობის განმტკიცებას. (დამახინჯებულია) იმ წვრილი მრეწველობის უზრუნველყოფას... (დამახინჯებულია) ამ გზით ჩვენ უნდა შევუდგეთ მშრომელთა საერთაშორისო საზრგადოების დაწესებას. ამხ. რიკოვისა და მილიუტინის მოხსენების გამო გაიმართა კამათი. მრავალი ამხანაგი შიშს გამოსთქვამდა, რომ წვრილმა მრეწველობამ, რადგანაც იგი სახელმწიფოებრივი ორგანოებიდან დამოუკიდებულია, შეესაძლებელია მსხვილ სახელმწიფო მრეწველობას გაუწიოს მეტოქება, დასცეს იგი, ჩამოაშოროს მას სამუშაო ძალა და შეესაძლებელია კიდეც დიდ ძალი ნედლეულობაც ხელში ჩაიგდოს. უკანასკნელ სიტყვაში მილიუტინმა სავსებით გამოაშკარავა ასეთი შიშის უსაფუძვლობა. მსხვილი მრეწველობას ყოველთვის აქვს მთელი რიგი უპირატესობათა წვრილ, დაფანტულ წარმოებასთან შედარებით, მას მხარს დაუჭერს სახელმწიფო, უზრუნველყოფილი იქნება ნედლეულობით და მუშა ხელით. შეეხო რა იჯარის საკითხს, მომხსენებელმა მიუთითა, რომ იჯარა არ არის დენაციონალიზაცია. წარმოებები გაცემული იქმნება განსაზღვრულ საფუძველზე, რაც ეკონომიური მმართველობის შესაძლებლობას მოგვცემს. (კავროსტა).

პროფკავშირთა მე-4 ყრილობა.

მოსკოვი. 25 მაისი. (რადიო). გუშინ დაიხურა პროფკავშირთა მე-4 ყრილობა. უკანასკნელ პლენუმის სხდომაზე ამხ. ოსინსკი გამოვიდა მოკლე მოხსენებით ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებათა განაწესის პროექტისა და ადგილობრივ ეკონომიურ მდგომარეობის აღდგენის პროექტის შესახებ. ყრილობამ აირჩია პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ანდრეევი, ანტიპოვი, არტემი, კორობიევი, გოლმანი, გორშკოვი, დავიდოვი, კოროლევი, კეშიშევი, კალინინი, კოროსტილევი, ლოზოვსკი, ლედზე, შერეგემჩა, რუდზუტაკი, რიკოვი, სოფრონოვი, უგლანოვი, შერნიშევი, შმიდცი, შლიაპნიკოვი, მინინსკი, იანსონი, უხოვი და ნიკოლაევი. ყრილობის დახურვამდე ბუხარინი გამოვიდა დიდი სიტყვით, რომელმაც საერთო დამახასიათებელი სურათით დახატა საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა სამხრეთ-დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ წესწყობილების დანგრეულ ფარგლებში. ზოგიერთი დიდი მრეწველობა იქ დიდად დაეცა. ყოველ ქვეყნის საწარმოო ძალთა მუდმივი დაუძლურება და დაცემა ევროპის ეკონომიური ცხოვრების მსვლელობაში მაგვარ გადამწყვეტ და გამომსახველ ფაქტორად იქმნება. მეორე მხრივ ამერიკა და ევროპა გადამეტებული წარმოებით ზარალობენ. ორ ნახევარ ნაწილად გაყოფილი კაპიტალისტური მსოფლიო იმყოფება არა წონასწორ მდგომარეობაში და განიცდის არაჩვეულებრივ მაჯის ცემას. ევროპას აუცილებლივ მოედება უმუშევრობა. მუშათა კლასის სიღარიბე, რომელიც ილებს არა ჩვეულებრივ ფორმებს, იძლევა სოციალურ და კლასიურ ბრძოლის სიმძაფრეს. რუსეთი, გამოსულია რა მსოფლიო მეურნეობის წრიდან, ამჟამად არის უდიდესი განმანადგურებელი ფაქტორი და კაპიტალიზმის აუცილებელი დამხობის დამაჩქარებელი.

ამ საერთაშორისო პირობებმა ჩვენ უნდა დაგვაწყებინოს მთელი ჩვენის ძალ ღონით მუშაობა ჩვენი სოციალისტური მეურნეობის აღსადგენად.

ამხ. ბუხარინის სიტყვის შემდეგ, ამხ. ლოზოვსკი ყრილობის მუშაობას აცხადებს დამთავრებულათ და დახურვის წინ ის წინადადებას აძლევს მას ინგლისელ ქვანახშირის მემაღაროეთ გაეგზავნოს ყრილობის სახელით 200.000 მანეთი ოქროთ. ყრილობა იხურება დამღერის ინტერნაციონალურ ჰიმნს.

საზღვარ გარეთ

გრუკავრეხტას დეპეშები.

ვდგომარეობა უარესდება.

ლონდონი. 7 მაისი. ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ არსებულ მდგომარეობას გამოსავალი არ უჩანსო. მემაღაროების მოთხოვნილებებს მხარს უჭერს 5 მილიონი უმუშევარი, რომელნიც ცოლებითა და შვილებითურთ წარმოადგენენ 15 მილიონს სულს. გაზეთი „დეილი-ექსპრეს“-ი იუწყება, რომ ქვანახშირის ნავთსადგურები სავსეა გაფუჭებული გემებით. წარმოება შემცირდა, რკინისა და ფოლადის ქარხნები იკეტება, მოელიან რომ ელექტრონის განათება, რკინის გზის და ტრამვაის მოძრაობა კიდევ შემოკლდება. მოჰყავს რა ეს ცნობები, გაზეთი მოითხოვს მემაღაროეთა მოთხოვნების შესრულებას და ქვა-ნახშირის კრიზისის მშვიდობიანათ გადაწყვეტას.

გაზ. „დეილ-ჰერალდ“-ი იუწყება, რომ კლაიდში დაიწყო ნავთსადგურის მუშების საყოველთაო გაფიცვა, მოძრაობა შეიძლება მოედოს მთელ ქვეყანას.

ინგლისელ ქვანახშირის მემაღაროეთა გაფიცვა.

ლონდონი. 23 მაისი. (რადიო). ქვანახშირის მემაღაროენი თავიანთ მოთხოვნილებებზე მტკიცედ სდგანან. შოტლანდიაში სამსახურიდან ითხოვენ რკინის გზელებს.

— **ლონდონი.** 25 მაისი. (რადიო). ეხლაც გრძელდება ყველა იმ რკინის გზელების დათხოვა, რომელთაც უცხოეთის ქვანახშირის გადატანაზე უარი განაცხადეს, დღეს შესდგა მტვირთავ-გადმომტვირთავ მუშების თათბირი. გაირჩა გაფიცულ ქვანახშირის მემაღაროეთათვის დახმარების საკითხი. მხოლოდ გაფიცულ ადგილებში მობილიზაციით თავმოყრილ ნაწილების გადაყვანაზე 50 მილიონი მანეთია დახარჯული.

ფინანსიური კრიზისი.

ბათუმი. 26 მაისი. (დეპეშა). უკანასკნელ ხანებში ემჩნევა ინგლისის ფულის კურსის დაცემა. ლონდონის და პარიზის ბირჟებზე ცუდი მდგომარეობაა შექმნილი.

გაზეთი „დეილი-მეილი“ ინგლისის გამწვავებულ ფინანსიური მდგომარეობას ჰხსნის ნახშირის და მუშა ხელის კრიზისით.

რევოლიუციონური მოძრაობა ირლანდიაში.

ნაუენი. 27 მაისი. (რადიო). არჩევნებმა ჩრდილო ირლანდიაში ძლიერ მშფოთარეთ ჩაიარა. დუბლინში აჯანყებულებმა დასწვეს საბაჟო; ცეცხლში დაიღუპა ბევრი დიდ მნიშვნელოვანი საბუთები.

მღელვარება ინდოეთში.

ტაშკენტი. 15 მაისი. (რადიო). უკანასკნელ დროს ინდოეთში ტერორისტული აქტები გახშირდა, ლიანდაგიდან გადააგდეს მატარებელი, რომელშიაც იჯდა გენერალ-გუბერნატორი, გაცარცეს ხაზინადარი, მოკლეს პოლიციის ინსპექტორი.

შემთანხმებელნი შეშინდნენ.

ტაშკენტი, 24 მაისი (რადიო). საფრანგეთის შემთანხმებელნი შეშფოთებული არიან საფრანგეთის მუშათა იმ მდგომარეობით, რომელმაც თავი იჩინა ამშენებელ მუშათა ყველა რაიონებში და საფრანგეთის რკინისგზელთა შორის. საფრანგეთის საალმშენებლოს მუშების დელეგატებმა, რომლებიც შეიკრიბნენ დიჟონში, დიდის უმრავლესობით მოითხოვეს მოსკოვის ინტერნაციონალთან შეერთება. საფრანგეთის რკინისგზელთა ყრილობამ მკაცრათ დაგმო საფრანგეთის პროფკავშირების შემთანხმებელი ბელადები,

იტლია და საბჭ. რუსეთი

რომი. 24 მაისი (რადიო) იტალიაში მყოფმა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ამხ. ვოროვსკიმ იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან მიიღო სასწრაფო ნოტა. სადაც იგი წინადადებას იძლევა სავაჭრო საურთიერთო ხელშეკრულების დადების შესახებ. ამხ. ვოროვსკიმ უპასუხა, რომ იტალიის მთავრობამ დღემდე ვერაფერი ზომა ვერ მიიღო, რათა საბჭოთა დელეგაციის მშვიდობიანი მუშაობა შესაძლებელი და უზრუნველყოფილიყო, საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს ამის შესაძლებლობის გარანტიას, წინააღმდეგ შემთხვევაში დელეგაციას ვერც მუშაობა და ვერც იტალიაში დარჩენა შეუძლიან. დელეგაციამ იტალიის მთავრობას თავის პირადობის მოწმობები გაუგზავნა იტალიიდან გასვლის ნებართვის მისაღებათ.

არეულობა ნორვეგიაში.

ნაუენი, 23 მაისი, (რადიო). ნავთსადგურების მტვირთავ-გადმომტვირთველ მუშათა გაფიცვის გამო მთელს ნორვეგიაში დიდი არეულობაა. ბევრს ქალაქებში ადგილობრივი ძალა უფლება მუშებმა ხელში ჩაიგდეს. (კავროსტა).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 19.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

სახელმწიფო ბანკის სასარგებლოდ თამასუქებისა და სხვა უდავო ვალდებულებათა განაღდების შესახებ.

1. სათამასუქო ვადათა მსვლელობა, დაწესებული ყოფილ მთავრობის კანონებით იმ პირთა სასარგებლოდ, რომელთაც ვალი აქვთ აღებული თამასუქებისა და სხვა უდავო ვალდებულებათა საბუთებით, შეჩერებულ იქნეს ა. წ. ივნისის 20 დან.

2. მიეცეს უფლება საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო ბანკს ადმინისტრატიული წესით გაანაღდოს ყველა ის თამასუქები და ვალდებულებანი, რომელიც კი მას ხელთა აქვს. ამავე წესით უნდა იქნეს განაღდებული აგრეთვე კერძო ბანკების ყველა თამასუქები და ვალდებულებანი.

3. სახელმწიფო ბანკს უფლება ეძლევა დამოუკიდებლად (სასამართლოს ორგანოების გარეშე), თამასუქებითა და სხვა უდავო ვალდებულებათა საბუთებით გაცემული სესხის დასაფარავად გადარიცხოს ბანკის სასარგებლოდ ყველა თანხა, რომელიც მოვალეს სახელდახელო ანგარიშზე ერიცხება.

შენიშვნა. ყოველ მოვალეს, რომელიც სახელმწიფო ბანკის მიერ თანხების გადარიცხვას უკანონოთ მიიჩნევს, უფლება ეძლევა საჩივარი აღძრას სასამართლოში.

4. სასამართლოს აღმასრულებელ და ადმინისტრატიული სელისუფლების ორგანოები ვალდებულნი არიან სახელმწიფო ბანკის ყველა განკარგულება ზემოხსენებულ ვალდებულებათა განაღდების შესახებ სისრულეში მოიყვანონ.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე.

ფინანსთა სახალხო კომისარი.

ნაზარეტიანი.

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე**

1921 წ. მაისის 24-ს.

თბილისი-სასახლე.

დეკრეტი № 37.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების შესახებ.

1. სამკურნალო ადგილებად ანუ კურორტებად ითვლება: ა) ადგილობრივი სამკურნალო წყლების წყაროები (მადნეულით და ქიმიურათ მნიშვნელოვანი) ან ტალახებით, ბ) მარილიანი ტბები, და საზღვაო საბინაო ადგილები. გ) კლიმატიური და მთის სადგურები და დ) კუმისით სამკურნალო ადგილები.

2. სამკურნალო ადგილები და კურორტები მთელს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც უნდა იქნეს და ვისაც უნდა ეკუთნოდეს, მთელი თავისი შენობებით, მოწყობილობით და მოკრავი ქონებით, რაც კი კურორტის საჭიროებას ემსახურებოდა წინათ და კურორტისათვის მიკუთვნილ ადგილზე არის, შეადგენენ რესპუბლიკის საკუთრებას და სამკურნალო მიზნებისათვის იქნებიან გამოყენებულნი.

შენიშვნა: 1: სამკურნალო ადგილებსა და კურორტებში შენობანი, ნაგებობანი და მოძრავი ქონება ჩამოერთმევათ მესაკუთრეთ ნაციონალიზაციის წესით, ან გამოისყიდება, ან და იჯარით აიღება.

შენიშვნა 2: მცირე მესაკუთრეთა სახლებზე, რომელთაც იმ ადგილებში მუდმივად სცხოვრობენ დეკრეტის მეორე მუხლი არა ვრცელდება.

3. სამკურნალო ადგილები ანუ კურორტები შეიძლება აღიარებულ იქმნეს საერთო სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ადგილებათ.

4. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ იმ სამკურნალო ადგილებს ანუ კურორტებს, რომელთაც: 1) თუ ჯანმთელობის სახალხო კომისარიატის დასკვნით დიდი მნიშვნელობა აქვთ მადნეული წყლებისა, მადნეული ტალახებისა და სხვ. შემადგენლობისა ან სამკურნალო თვისების მიხედვით და აგრეთვე ავადმყოფთათვის საჭირო მოწყობილობის მხრივ და 2) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების დასკვნით, თუ მათ აქვთ [illegible] წყლის, ან მადნეული ტალახების [illegible] რაოდენობა.

5. სამკურნალო ადგილები ან კურორტები ცხადდება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ადგილებათ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით.

6. იმ სამკურნალო ადგილებზე, რომელთაც მეკუთნებათ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, სამკურნალო წყლებისა და ტალახების გაფუჭებისა ანუ გამოფიტვისაგან უზრუნველყოფისათვის დაწესებულ იქნება სამთო დაცვის ოლქი. სამთო დაცვა შეიძლება დაწესდეს აგრეთვე იმ წყაროებისათვისაც, რომელნიც სამკურნალო ადგილების საჭიროებას წარმოადგენენ.

7. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე სამკურნალო ადგილების სანიტარულის ხერით უზრუნველსაყოფად წესდება სანიტარული დაცვის ოლქი, რომლის საზღვრებში შედის თვით სამკურნალო ადგილის სივრცე. ამავე სანიტარულ დაცვის ოლქში უნდა იქნეს მოთავსებული ყველა ის წყაროები, საიდანაც სასმელ წყალს ღებულობს ასეთი სამკურნალო ადგილი.

8. სამთო და სანიტარული დაცვის ოლქების საზღვრები წესდება და იცვლება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით და სამთო სანიტარული დაცვის დებულებით.

9. ჯანმთელობის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს გამოსცეს საგანგებულო დადგენილებანი იმ ზომების შესახებ, რომელთა მიხედვითაც უნდა სწარმოებდეს ოლქის საზღვრებში მადნეულ წყლების დაცვა და წესიერი მოვლა და მათთან დაკავშირებული სამსამკურნალო დაწესებულებათა სანიტარული ხერით მოწესრიგება.

10. ყველა მამულები და პარკები, ველისა და წყლის მიდამოები, რომლებითაც წინათ სამკურნალო ადგილები ანუ კურორტები სარგებლობდნენ, სამკურნალო მოთხოვნილებათა საჭიროებისათვის, მათი შენობებით, მოწყობილებით და ინვენტარით უნდა ჩამოერთვას მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს და გადაეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და მის დაწესებულებათ უშუალო გამგებლობაში.

11. სამთო და სანიტარული დაცვის ოლქის ფარგლებში გაშენებული ტყე გამოცხადდება დამცველ ტყეთ. ასეთ ტყეებში მეურნეობას აწარმოებს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი იმ გეგმით, რომელსაც დააწესებს სატყეო უწყება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

12. თუ სამკურნალო ადგილებისა ან კურორტების სამკურნალო მიზნებისა და საჭიროებისათვის აუცილებელია ისეთი მიწებისა და მამულების მიზომვა, რომლითაც წინათ „კურორტი არ სარგებლობდა, ასეთი მიზომვა უნდა იქნეს მიწით სარგებლობისათვის არსებული დებულების წესის მიხედვით.

13. სამკურნალო ადგილების ან კურორტების უმაღლესი გამგებლობა ევალება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

14. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილის ანუ კურორტის ადგილობრივი სამმართველო დამოუკიდებელია სამაზრო საგუბერნიო და საოლქო ხელისუფალთაგან დაიმორჩილება უშუალოთ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

15. სურსათით, სადგომით და სათბობით უზრუნველყოფის საქმეში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დაწესებულებანი თანასწორი არიან საავადმყოფოებისა.

16. ის სამკურნალო ადგილები, ან კურორტები რომელნიც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გარეშე იქმნებიან, მაგრამ მნიშვნელოვანი სამკურნალო თვისებანი არიან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს შეუძლიან გამოაცხადოს საზოგადოებრივ მნიშვნელობის კურორტებათ და დააარსოს მათთვისაც სამთო და სანიტარულ დაცვის ოლქები, დაინტერესებულ კომისარიატებთან შეთანხმებით.

17. ადგილობრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილები ანუ კურორტები ემორჩილებიან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საერთო ზედამხედველობას, რომელიც გადასცემს მას საექიმო-სასანიტარო სამმართველოს ადგილობრივ სათანადო ორგანოების გამგებლობაში.

საქართვ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი **კუპაიძე.**

რევკომის მდივანი **გაბრიჩიძე.**

1921 წ მაისის 20.

თბილისი—სასახლე

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება

ქ თბილისი, მაისის 10, 1921 წ.

1. ახალი კანონის გამოცემამდე დაქირავებულ პირთა სოციალურ დაზღვევის

შესახებ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რკინის გზის სამართველოსთან არსებული საპენსიო განყოფილება კვლავ დარჩეს.

2. ყოველგვარი ნორმები დახმარებისა, რომელიც შრომის სახალხო კომისარიატის მიერ არის მიღებული დაზღვევის კასის მონაწილეთა და მათ ოჯახის წევრთათვის, გავრცელდეს საქართველოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებზე.

3. საჭირო თანხა კასის მონაწილეთა დახმარების დასაკმაყოფილებლად და პენსიის მიცემა შრომის სახალხო კომისარიატის დამზღვევ ფონდის შექმნამდე საქართველოს რკინის გზის სამართველოდან გაიცემა.

4. კასის მონაწილეთათვის ყოველგვარი ფულის გაცემა საპენსიო განყოფილების ორდერებით იწარმოებს რკინის გზის სამმართველოს საინგარიშო საფინანსო განყოფილების საშვალებით.

5. ახალი პენსიათა დანიშვნისა, მიმდინარე საქმეთა და ყოველგვარ ამ საკითხებთან დაკავშირებულ საქმეების გადასაწყვეტად შესდგეს კოლეგია სამი პირის შემადგენლობით, ერთს მათგანს შრომის სახალხო კომისარიატი ნიშნავს, რომელიც თავმჯდომარეობას ეწევა, და ნარჩენს ორს—რკინის გზის პროფ. კავშირი ირჩევს.

6. კოლეგიამ ვალდა ყოველ თავის დადგენილებათა შესახებ პენსიონერთა რიცხვისა, საჭირო ცვლილების არსებულ კანონმდებლობის მიხედვით ხარჯთაღრიცხვისა და ანგარიშების შედგენისა, როგორც ფინანსიურისა, ისე სტატისტიკურისა, აცნობოს შრომის სახალხო კომისარიატს შრომის დაცვის განყოფილებას და საერთოდ უკანასკნელთან კონტაქტით იმოქმედოს.

შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

შრომის დაცვისა და სოც. დაზღვევის განყოფილების გამგე ელბაქიანი.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

რადიო ჯორი.

ღამე ტკბილ სიზმრებში გავატარე: სულ თეთრი პური, ხარჩო და ხელადით ღვინო მესიზმრებოდა.

ალბათ იმიტომ, რომ უვახშმოთ დავწექი.

დილით რომ გამომეღვიძა, ძალიან ცუდ გუნებაზე დავდექი. მაგრამ გაზეთში რომ წავიკითხე ბათომში გემის მოსვლისა და ჩრდილო-კავკასიიდან ვაგონების გამოგზავნის შესახებ, ცოტა გულს მომეშვა.

ამიტომ უსაუზმობაც ადვილათ გადავიტანე.

გარეთ რომ გამოვედი, კიბეზე შემხვდა ანთიმოზ ფურცელაძე. ის მენშევიკების დროს საბურთალოზე ცხოვრობდა, ახლა კი სოლოლაკში ჩემ ზემო სართულში დაბინავდა.

სალამიც ისე მომცა, როგორც შეფერის ზემო სართულში მცხოვრებს ქვემო სართულის მამართ.

სამსახურისკენ მე და ანთიმოზს გზა ერთი გვქონდა. მე ძალიან მეჩქარებოდა; ანთიმოზს კი, მიუხედავათ იმისა, რომ უკვე ათი საათი იყო, სიჩქარე არ ემჩქეოდა.

ის ლაპარაკის ხასიათზე იყო. რაც მე სიზმარში ვნახე—იმან ალბათ ეს სიცხადეში განიცადა. მისგან გავიგე საყურადღებო ახალი ამბავი: ბათომი ვალიკო ჯუღელს უკვე აეღო, ნასაკირალი კი ვალოდია გოგუაძეს გადმოელახა და ნაგომრ საკენ მოეშურებოდა.

ამ ამბავმა ცუდ გუნებაზე დამაყენა. მომაგონდა ჩემი ბნელი და ნესტიანი ოთახი არწრუნის ქუჩაზე. ძლივს მეღირსა ბალშევიკების მოსვლის შემდეგ იქიდან სოლოლაკში რიგიან ბინაზე გადმოსვლა.

ეხლა კი ვალიკოს და ვალოდიას მოსვლით, მე ისევ უკანვე დაბრუნება მომიხდებოდა.

მაგრამ ამასთანავე მომაგონდა მეტეხის ციხის მეცხრე კამერა, ნათელი და მზიანი, სადაც უკეთესათ ეგრძნობდი თავს, ვიდრე წინანდელ ჩემს ოთახში. ამიტომ ცოტა გულს მომეშვა: ვიცოდი, რომ იქ მომიხდებოდა უფრო მეტათ ყოფნა, ვიდრე შინ.

საკანტროლო კომისიაში რამდენიმე მკაცრი განაჩენი გამოვიტანე და შემდეგ, საათის თორმეტზე, გავსწიე ჩემს მეორე სამსახურში.

გზაში თვალი მოვკარ ანთიმოზს, რომელიც ლადიძის წინ ეგბაასებოდა ისიდორე ჭორიკანიძეს. როგორც ჩანდა, ანთიმოზი სამსახურში სულ არ მისულიყო.

ჩვერდის ჩავლის დროს ყური მოვკარ სიტყვების ნაწყვეტებს: „სამტრედია, ვალიკო; რაჭა, ვალოდია“...

ეს სიტყვები ლახვარივით მომხვდენ გულში. მათი აზრი ჩემთვის ცხადი იყო: ალბათ ვალიკოს სამტრედია აღელია უკვე და ვალოდიას კი რაჭა მეთქი, ვიფიქრე.

უზრუნველყოფის კარებთან დახმარების მთხოვნელების გრძელი რიგი იდგა,—უმეტესობა სარეკომენდაციო ბარათებით აღჭურვილნი.

უფრო გამოცდილებმა შემატყვეს, რომ ცუდ გუნებაზე ვიყავი. ამიტომ ყველა იქ მდგომი არ შემოსულა მისაღებ ოთახში. ალბათ უფრო მოხერხებულ დროსათვის გადასდვეს ნახვა,—როცა კი გუნებაზე ვიქნები. ოზრუნველყოფიდან საათის ორზე გავემგზავრე ჩემი მესამე თანამდებობის ასასრულებლათ სოვსნობში.

ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილში სკამზე ჩამომჯდარიყვენ რამდენიმე ყმაწვილები. შუაში ისიდორე ჭორიკანიძე იჯდა და რაღაცას გაცხარებით ლაპარაკობდა.

ჩვლის დროს მკაფიოთ გავარჩიე: „გორი, ვალიკო, ცხინვალი, ვალოდია“...

მუხლებმა კანკალი დამიწყეს,—ძლივს მივაღწიე დაწესებულებამდი.

ყველა თანამშრომლები სიბრაღულის თვალით მიცქერდენ,—ალბათ ამათმა უკვე იცოდენ მდგომარეობა.

თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევდა გარეშე პირისთვის გამომეკითხა, თუ როგორ იყო ჩვენი საქმე. კომუნისტი კი ერთი ვერ შევამჩნიე მათშორის.

საქმეებს რომ მოვრჩი, გავეშურე სასახლისკენ,—თან ძალიან მშიოდა, თანაც ამბის გაგება მწყუროდა.

სასადილოში ერთი კომუნისტი არ იყო და არც ერთი თავისუფალი ადგილი: ყველა სკამები ფედერალისტებს და მენშევიკებს დაეკავებია და მადიანათ მიირთმევდენ კომუნალურათ დამზადებულ სადილს.

აქ ცხადათ ლაპარაკობდენ მცხეთის აღებაზე და კოჯორიდან შემოვლაზე. გამოურკვეველი იყო მხოლოთ ის, თუ რომელი ადგილი დაჭირა ვალიკომ, და რომელი ვალოდიამ.

დაძმარებული ჩამოვჯექი ფანჯარაზე და უცდიდი სკამის განთავისუფლებას.

ნელ-ნელა გამოჩნდენ კომუნისტებიც. შრომისა და შიმშილისგან ილაჯ გაწყვეტილნს აღარაფერი ეყურებოდათ, ამიტომ მცხეთისა და კოჯორის აღების შესახებ მათ არა იცოდენ რა.

მეც არ მოვისურვე ცუდი ამბვით მათთვის ჭამის მადის წახდენა.

ნასადილევს ნახევრათ მშიერი, მოქანცული და დაღვრემილი წავბენცელდი სახლში.

კიბეზე ანთიმოზი შეხვდა. მას ეხლა დალონებული სახე ქონდა, თუმცა ფერზე ეტყობოდა, რომ კარგა გამობრეჟეული იყო ღვინით.

მისგან ეხლა მეორე ახალი ამბავი გავიგე, პირველზე უფრო ზარდამკვნი.

თურმე ფილიპე მახარაძეს მოსკოვში იწვევენ. ნის მაგიერ ჩვენში გზავნიან გენერალ ბრუსილოვს.

მინდოდა აღშფოთებით გამეფურთხებია, მაგრამ პირში ნერწყვი გამშრომოდა.

ხ. თ—ია.

სრულიად საქართველოს მშრომელ ქალთა ყრილობა

27 მაისი, ყრილობის დასასრული.

სხდომა გაიხსნა დილის ათ საათზე.

ყრილობის თავმჯდომარემ ამხ. ლიდია გასვიანმა გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: **საერთაშორისო მდგომარეობა, ქალთა საკითხი და მე 3 მე კომუნისტური ინტერნაციონალი.**

მოხსენება შინაარსიანი გამოდგა.

დელეგატი ქალები კმაყოფილი დარჩა.

ბათომის ჯგუფის წინადადებით ყრილობამ გაუგზავნა მისალმების დეპეშა მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს და ქალთა საერთაშორისო კავშირს.

შემდეგ გააკეთა მოხსენება ამხ ს. დალნიამ შემდეგ თემაზე: **აღმოსავლეთის ქალები.**

მოხსენების დასასრულს წარმოთქვეს ყრილობის გამოსათხოვი სიტყვები შემდეგმა პირებმა:

რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის სახელით—ამხ. კიროვმა, ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის სახელით—ამხ. თედორე კალანდაძემ, მთავრობის სახელით მთავრობის თავმჯდომარემ—ამხ. ფილიპე მახარაძემ, ქართველი წითელი ლაშქრის სახელით სამხედრო კომისარმა—ამხ. შალვა ელიავამ, და პროფკავშირების და თბილ. პარტკომის სახელით—ამხ. გ. ნუცუბიძემ.

ბოლოს წაკითხული და მიღებული იქმნა სარედაქციო კომისიის მიერ შემუშავებული, რეზოლიუციები და მისასალმებელი დეპეშები. (რეზოლიუციები და მისასალმებელი დეპეშები სტენოგრაფიული ანგარიშებში იქმნება ცალკე მოყვანილი).

სევასტი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲨᲐᲕᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. საზღვარ-გარედ წასული საზ. „ჩემო“-ს დელეგაციას მიზნად აქვს მოაგვაროს შავი ქვის გაზიდვის საქმე საზღვარ-გარედ. დელეგაცია ზომებს მიიღებს, რომ საქმე მოაწყოს სტამბოლში, თუ ეს საკმარისი არ იქნება, იგი გაემგზავრება იქით ევროპაში მარშრუტით—როტტერდამი—გააგა, შემდეგ, გარემოებათა მიხედვით: ლონდონსა, პარიზსა და ბერლინში. დელეგაციას სათავეში უდგას საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი ამხ. კ. ბ. მოდებაძე; დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: „ჩემო“-ს თავმჯდომარე ზ. დ. ჟურული და საბჭოს წევრები თოფურია, პერსენაკი და გოდოვიჩი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ. ქალაქის სოციალურ უზრუნველყოფის საბჭომ პირველ მაისიდან 15 მდე გასცა 2514 ორდერი უფასო სადილების მისაღებათ, ინვალიდთა განყოფილებაში 19 მაისს ირიცხებოდა 133 ინვალიდი და 269 ბავშვი, პენსიონერებისა და შემწეობის განყოფილებაში იმავე დროს მიღებულია 253 პენსია 1.975,050 მანეთისა და 22 ერთდროული დახმარება 774,780 მანეთისა.

Ს. Ხ. Ხ. Რ. ᲠᲔᲕᲙᲝᲛᲨᲘ. სახალხო სასამართლო. საქართველოს რევკომის პლენუმის მაისის 20 სხდომაზე, მოისმინეს დეკრეტის პროექტი ყოფილ სასამართლოების წესდებების გაბათილებისა ს. ს. სახალხო სასამართლოს დებულებ ს პროექტის შესახებ. დეკრეტის პროექტი დამტკიცებულია და შესახებ სახალხო სასამართლოს პროექტისა მიღებულია გადაწყვეტილება რესპუბლიკისათვის მოსამართლეთა მთლიან საბჭოსი.

ᲡᲔᲡᲮᲘ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘ. ს. ს. ს. რ. რევკომმა მაისის 20 ს სხდომაზე დაადგინა წინადადება მისცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რათა მან მომარაგების სახალხო კომისარიატს მისცეს სესხათ 2,000,000,000 მან.

ᲜᲐᲕᲗᲘ ᲓᲐ ᲖᲔᲗᲘ. მაისის 1—18 დე ბაქოში ჩაასხეს 706 ცისტერნში ნავთი და 137 ცისტერნში ზეთი სად. ახტაგლის მისამართით ბათომში საზღვარ გარედ გასატანათ.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ.

19 მაისს ხაშურში ჩამოვიდა პროფ. კავშირებას ინსტრუქტორი ამხ. ჩისტიაკოვი დავალებით, რომ მოაწყოს ადგილობრივ საწარმოო კავშირები და შემდეგ მათი კონფერენცია. მოწყობილი იქმნა რამოდენიმე კრება ხაშურის სამაზრო პროფ. კავშირის ბიუროსი, რომელზედაც გამორკვეულ იქმნა გეგმები პროფესიონალურ მუშაობისა მაზრაში. ხაშურში იქნება მოწყობილი ჯერჯერობით კავშირი 1) კომუნალურ მეურნეობის პატარა წარმოების დარგებისათვის, 2) საბჭოთა მოსამსახურეთა, 3) ფოსტა-ტელეგრაფის. და 4) რკინის გზის. უკანასკნელი უკვე მოწყობილია, მხოლოდ არ აქვს ადგილობრივი კომიტეტები. მოწყობილია ადგილობრივი კომიტეტები საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირის, კომუნალურ მეურნეობის და ფოსტა-ტელეგრაფის მოკლე ხანში იქმნება დამთავრებული ორგანიზაცია ადგილობრივ კომიტეტებისა მთელს ხაშურში და ფაქტიურად მოეწყობა პროფესიონალური კავშირები. ამხ. ჩისტიაკოვი, სამაზრო პროფკავშირის ბიუროს თავმჯდომარის ამხ. ს. ქურტაძის თანხლებით მიემგზავრება ბორჯომში, სურამში და გომში ადგილობრივ კომიტეტებს და პროფ. პავშირის მოსაწყობად. 2 ივნისს დანიშნულია კონფერენცია ყველა საწარმოო პროფ. კავშირებისა.

— 21 მაისს ხაშურის რაიონულ კომპარტიის კომიტეტის ინიციატივით გაიმართა დიდი მიტინგი ქალაქ გარეთ, გორათზე. მიტინგს ხალხი დიდძალი დაესწრო, რადგან ამ დღეს იყო ჩვეულებრივად დღეობა ადგილობრივ ეკლესიისა. 12 საათზე ხაშურის პარტიულ კომიტეტიდან სამხედრო მუსიკით, მწყობრად დარაზმული გაემართენ ადგილობრივი კომპარტიის წევრები და სხვა მოქალაქენი მიტინგის ადგილისაკენ. ტრიბუნასთან თავი მოიყარა თითქმის მთელმა დღეობაზე მოსულმა ხალხმა, უმეტესად გლეხებმა. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ა. მაისურაძემ, ვ. ელიავშვილმა, გრ. მოწონელიძემ, ი. ძაძამიამ, სკვორცოვმა (რუსულად), გოგოლაძემ და ქორიძემ. მთავარი აზრი სიტყვებისა იყო: საბჭოთა ძალა-უფლების განხორციელება, რუსეთის პროლეტარიატის ტიტანიური ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ბურჟუაზიულ პარტიების პროვოკაცია. ყველა ეს აზრები ვრცლად იქმნა გაშუქებული და ორატორებმა მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს. ადგილობრივ პარტიულ კომიტეტს მიზნათ აქვს დასახული ყოველივე ზემოაღნიშნულისადგვარი საეკლესიო დღეობები გამოიყენოს აგიტაციისათვის და ყველა შემთხვევებში საუკეთესო ორატორების საშვალებით გაწყოს დღის შესაფერი აგიტაცია.

— 24 მაისს ადგილობრივ მუშათა კლუბში გამართული იქმნა სამხედრო ორკესტრის უფასოდ კონცერტი ამხ. ბოგოსლავეცის ლოტბარობით. მთელი პროგრამმა კონცერტისა. შედგენილი იყო ქართული მუსიკის ჰანგებით. თუმცა ჩვენი ნაზი მრავალფეროვანი და ღრმა მუსიკა საერთოდ ვერ იტანს სამხედრო ორკესტრის კოტა უხეშ შესრულებას, მაგრამ ზემოხსენებულ კონცერტზე უნდა ითქვას, რომ ამხ. ბოგოსლავეცმა მიაღწია მას, რის მიღწევა თითქმის შეუძლებელია. ორკესტრმა ისე ნაზად და მომხიბლავად შეასრულა ქართული ჰანგები, რომ მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. განსაკუთრებით კარგად იქმნა შესრულებული „დავრდომილი სნეული“, „მხედრული“, „კავკასიის მთებში“ დ „სამშობლოს ჰანგებზე“. უკანასკნელი ორი ნომერი თვით ამხ. ბოგოსლავეცის მიერ არის შეთხზული. განზრახულია მოეწყოს ამ მოკლე ხანში ევროპიული მუსიკის კონცერტი.

გ. ბ.

შაბათობა სამტრედიაში.

20 მაისს პარტკომთან არსებულ შაბათობის ბიურომ მოაწყო მესამე შაბათობა. კომუნისტებს გარდა მონაწილეობას პირველად ღებულობს ადგილობრივი სოც. ფედერალისტური პარტიის წევრები, მონაწილეობას ღებულობდენ კომუნისტ ქალებიც. შაბათობამ ნაყოფიერი შედეგი დატოვა: ორთქმავალიდან დარჩენილი ნახშირის ნაწვავი რომელიც სამტრედიაში ბევრი გროვდება დეპოს გარშემო, გადატანილ იქმნა მახლობელ ჭაობში შესაზვინათ. თან—შაბათობას საზეიმო ელფერი ედო: მთელი მუშაობის დროს უკრავდა მუსიკა; მხატვრმა რამოდენიმე სურათი გადიღო. შაბათობა პატარა მიტინგით გათავდა, რომელსაც გარეშე ხალხიც დაე წრო, სიტყვა წარმოსთქვა რუსულ-ქართულ ენაზე ამხ. ვ. გ—ტემ პროლეტარიატის და მის მობაირახტრე კომპარტიის როლზე ამ ბურჟუაზიის მიერ შექმნილ საშინელ კრიზისის დროს.

მიტინგი ინტერნაციონალით დამთავრდა.

ვალ.

ᲫᲘᲠᲣᲚᲐ (ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ).

კვირას 22 მაისს ამა წელს მოხდა ძირულის ცეცხლის გამძლე ანგურის ქარხნის მუშა მოსამსახურეთა პროფკავშირის და ამავე ქარხნის კომიტეტის კრება თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ივანე პეტრეს ძე ჰუკაჩოვი და მდივნათ შალვა ალფეზას ძე გაჩეჩილაძე. დღის წესრიგი იყო: 1) ქარხნის წარმოების შესახებ 2) სურსათ სანოვაგის შესახებ; 3) წესრიგის დაცვა ქარხანაში და აგრეთვე ქანდარის მაღაროებში. 4) ქანდარის მუშების მოთხოვნილება. პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ივანე პუკაჩოვმა, რომელმაც აღნიშნა რომ, რადგანაც მოთხოვნილება ანგურის ამ ქარხანაში ბევრია და მატერიალური დახმარება ცოტაა რადგანაც არ გვაქვს შეძენილი ნავთი, მახუთი შუშა და სხვა ამნაირი მასალა, ეს უქადის ქარხანაში წარმოების შეჩერებას. ამიტომ კრება ერთ ხმათ ადგენს, რომ საჩქაროთ იყოს ზომები მიღებული ქარხნის გამგესაგან რათა შეძენილი იქმნეს ზემოჩამოთვლილი საგნები. მეორე საკითხის შესახებ, კრებამ დაადგინა დაევალოს ამხ. ამბროსი ებანოიძეს, აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ ჩვენც მოგვეცეს სურსათ-სანოვაგე ისე, როგორც სხვა მუშები ღებულობენ. სიმინდს, ნავთს, მარილს, თამბაქოს. მე 3 საკითხზე კრება აღგენს რომ მუშებმა ენერგიულათ და მუყაითად იმუშავონ თავთავიანთ სამუშაოებზე, რომ წარმოებამ წინ წაიწიოს და მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. ამხანაგების ეფიფანე თავბერიას, სერაფიონ გაჩეჩილაძის და გერონტი სხილაძის შესახებ, რომლებიც შემჩნეული იყვნენ მუშაობის დროს დამჯდარნი, კრება აღგენს თუ მეორეთ განმეორდა ეს მაშინ ეს ამხანაგები იქნებიან პასუხისგებაში მიცემული, როგორც წარმოების შემაფერხებელნი 4) საკითხის შესახებ: მაღაროებში განათება, ექიმის მიერ მუშების გასინჯვა კვირაში ერთხელ, კრება აღგენს, დაუყონებლივ სისრულეში იყოს მოყვანილი ყოველივე.

ძირულის ქარხნის მუშა **შალვა ა. გაჩეჩილაძე.**

ᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ (ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ).

ეს რაიონი დღეს ყველაზე უფრო ჩამორჩენილი რაიონია ყველაზე უფრო ჩამორჩენილია როგორც პარტიული, ისე საზოგადოთ კულტურული მაზრის მხრივ. აქაურ გლეხს რაც ბევრი არ უნდა ესაუბრო ვერაფრთ ვერ დაარწმუნებთ, რომ სწავლა ანათლება და უსწავლელობა სიბნელე. დახლოვებით 95 პროც. კიდეც მეტი აქ უსწავლელი იქნება. ამას ჩვეულებრივი გაკვლენა მოუხდენია აქაურ მცხოვრებლებზე და ვერც კი წარმოუდგენია სწავლა განათლების დაყენება ისე რომ ყველა სწავლული იყოს. ამის გაკვლენა მოუხდენია აგრეთვე პარტიულ მუშაკებზე, პარტიულ მუშაობას სრულიად არ ეტყობა სიცოცხლე, ის ძლიერ სუსტათ მიმდინარეობს უმთავრეს ყურადღებას აქაური ამხანაგები აქკენენ შეიარაღებას. აგრარული რეფორმა ტარდება ძლიერ სუსტათ ვინაიდგან თვით პარტიული აპარატი აქ სუსტი არის. კულტურული მუშაობაც ხომ სრულიათ მივიწყებულია რევკომებში უმთავრესათ ამ ბინებში სხედან არა პარტიული ამხანაგები. მუშაობა საერთოთ ყოველ მხრივ სუსტით მიმდინარეობს.

ალის რაიონს დღეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ვისგან ჯერ არ არის. უმთავრესი ყურადღება ამ რაიონში უნდა მიექცეს კულტურულ მუშაობას, რაც ძლიერ სუსტათ მიმდინარეობს ეხლა.

ბრძოლა უცოდინარეობის წინააღმდეგ პირველ რიგში უნდა დასვან აქაურმა პარტიულმა ამხანაგებმა.

მოკლეთ ალის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: ეს რაიონი აერთიანებს დაახლოვებით 10—13 პატარა სოფელს ამ სოფლებში იაჩეიკები ყველგან არსებობდა მაგრამ ისინი არ არიან გამაგრებული და არარეგულიარულად იკრიბებიან. უნდა მოხდეს ამ იაჩეიკების დაკავშირება.

შემდეგ აქ მოიპოვებიან საზაფხულოდ ჩამოსული კულტურული ძალები. ეს ძალები უნდა მოიხმაროს რევკომმა და მოახმაროს ისინი კულტურულ მუშაობის გაფართოვებას.

ხაშურელი მოხიკო.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია **რუსთაველის პრ., № 22.**

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.**

— **1-ლ რაიონის ბიურო—ნერკინგზიშუალის ქ. 136, ოფისი „ნაძალადევი“, ტელ. 1—33.**

— **მე-2-რე რაიონის ბიურო—ზემოვალის ქ. № 87. ტელ. 5—69.**

— **მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.**

— **მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოდელის ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52**

**მე-5-